645
1976



# საქართველოს ქალი

თბილისი
№ 10 1976 წ



მსოფლიოს ქალთა სოლიდარობა

მხატვარი ფ. რიბაკოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გულითადი მოლოცვა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ
## ე. ა. შევარდნაძეს

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ
## ზ. ა. პატარიძეს

გულითადად ვულოცავ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ჩაის მრეწველობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო ორგანიზაციების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკებს სახელმწიფოსათვის 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

მიღწეული წარმატებანი საქართველოს მეჩაიეთა თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

13058

დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც გულმოდგინედ დანერგავთ ჩაის პლანტაციებსა და ფაბრიკებში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს, აითვისებთ ახალ მანქანებსა და პროგრესულ ტექნოლოგიურ ხერხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის წარმოების შემდგომ გადიდებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

**ლ. ბრეჟნევი**

1976 წლის 29 სექტემბერი.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.


ელექტრონული ბიბლიოთეკა

სოხუმი. 1976 წლის 1 ოქტომბერი. საქართველოს მეჩაიეთა მიტინგი. ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ი. ჭოხონელიძის ტელეფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

1 ოქტომბერს სოხუმში გაიმართა საქართველოს მეჩაიეთა მიტინგი, რომელიც მოეწყო საქართველოს მეჩაიეთა მიერ ნაკისრი გადიდებული ვალდებულებების შესრულების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალოცი დეპეშის მიღებასთან დაკავშირებით.

# სამშობლოს—355.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვისწავლოთ, ვიმოქმედოთ!

## მოსკოვი
## სკკპ ცენტრალური კომიტეტი
## ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

დიდი დღესასწაული მოვიდა საქართველოს მიწა-წყალზე. იგი გამოიწვია თქვენმა წერილმა, ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენმა გულთბილმა მისალმებამ სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი, მეჩაიეებისადმი, ჩაის მრეწველობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მუშაკებისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ რეკორდული მოსავალი მოვიწიეთ და შევასრულეთ სოციალისტური ვალდებულებები — მეათე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს მივყიდეთ 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩვენ, მიტინგის მონაწილეებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლებს აღგვაფრთოვანებს და გვახარებს თქვენი სიტყვები, რომ მიღწეული წარმატება ჩვენი მეჩაიეების თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი გულითად მადლობას გიძღვნიან თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ახალი წარმატებანი რომ უსურვეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში. ეს ახალ ძალასა და ენერგიას გვმატებს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამჟამად რესპუბლიკაში, ყველა შრომითს კოლექტივში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს. ეს იმის შედეგია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჭეშმარიტად ლენინურად ზრუნავთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის, ხალხის კულტურის აყვავებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შემოქმედებითი და საქმიანი ვითარების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის ისტორიულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ.

ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე წარმოთქმულ თქვენს სიტყვაში წამოყენებული ამოცანები და დიდმნიშვნელოვანი მითითებანი აღგვაფრთოვანებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, ინდუსტრიულ საფუძველზე მისი გადაყვანისათვის.

მეჩაიეობაში და ჩაის მრეწველობაში განუხრელად შესრულდება თქვენი რჩევა-დარიგებანი, რომ მეჩაიეობაში ბეჯითად დავნერგოთ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, ავითვისოთ ახალი მანქანები და პროგრესული ტექნოლოგიური ხერხები, რომლებიც ჩაის წარმოების შემდგომ გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, მტკიცე სიტყვას გაძლევთ, რომ დამკვრელური შრომით წარმატებას მივაღწევთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შევასრულებთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

გულითადად, გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის საქმეში ჩვენი მძლავრი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

***მიღებულია საქართველოს მეჩაიეთა მიტინგზე 1976 წლის 1 ოქტომბერს.***

**ყოველი** სასწავლო წელი ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. მაგრამ ახლანდელი, რომელიც უკვე დაიწყო, მაინც განსაკუთრებულია. იგი ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების თითქმის მთელ შემდგომ პერიოდს, იმ ხალისიან თვეებსა და დღეებს, რომლებმაც ბევრი რამ უნდა განსაზღვროს, დააზუსტოს და წარმოაჩინოს მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადნახევარში საბჭოთა ადამიანების ჭეშმარიტად გმირული შრომის შედეგებიდან.

და მაინც, ჩვენს რესპუბლიკაში ახალი სასწავლო წლის დაწყებას თავისი ახალი შინაარსი, თავისი მნიშვნელობა და ელფერი აქვს. ეს იმიტომ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი ივნისის ისტორიულმა დადგენილებამ, დიდ პარტიულ-ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად, დადებითად შეაფასა საქართველოს კომპარტიის მიერ უკანასკნელ პერიოდში გაწეული იდეურ-აღმზრდელობითი მოღვაწეობა, მთელი ის მიზანდასახული საქმიანობა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მშრომელთა კომუნისტური აღზრდა.

მისი კეთილი ნაყოფი განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა საქართველოს მშრომელთა პრაქტიკულ საქმეებში.

გაიზარდა ადამიანთა აქტივობა, მათი პასუხისმგებლობა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის მძიმე შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად. სერიოზული დამახინჯებების, შეცდომების, ნაკლოვანებების აღმოფხვრაში, მშრომელთა კოლექტივების გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, რაც იმით გამოიხატა, რომ დიდი ეკონომიური ჩამორჩენილობიდან საქართველო ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე გადის, და წარმატებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის ძირითადი დავალებანი, არის აგრეთვე ჩვენი პროპაგანდისტების, იდეოლოგიური დარგის სხვა მუშაკების სათანადო წვლილი. „პროპაგანდისტი და ხუთწლედი“ — ამ მოძრაობამ ფართო გავრცელება ჰპოვა და ამჟამადაც იგი წარმატებით გრძელდება.

პოლიტიკური და ეკონომიური სწავლება, ჭეშმარიტად, მასობრივი, სახალხო გახდა. აი პატარა სტატისტიკაც: გასულ სასწავლო წელს ჩვენს რესპუბლიკაში მარტო პარტი-

ული განათლების ქსელში 397 ათასი კაცი სწავლობდა, მათგან 251.687 კომუნისტი იყო. ასეულ ათასობით ახალგაზრდა სწავლობდა კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემაშიც. მსმენელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა სკკპ XXV ყრილობის შემდეგ, როცა მის მასალებზე მეცადინეობას შეუდგნენ პარტიული და კომკავშირული სწავლების, მასობრივი ეკონომიური განათლების ყველა ფორმისა და რგოლის, კომუნისტური შრომის სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების მსმენელები.

გასულ სასწავლო წელს აგრეთვე მოქმედებდა პარტიულ-სამეურნეო აქტივის 210 სკოლა და სემინარი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 66000 მსმენელი.

ვინ ჩამოთვლის იმ მოწინავე სკოლებსა და სემინარებს, მათს პროპაგანდისტებს, რომლებიც ნაყოფიერად ეხმარებოდნენ საწარმოთა, ორგანიზაციათა, მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს შემხვედრი გეგმების შემუშავებაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებაში, მანამდე გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებაში!

თეორიული მასალის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირების უნარით, სადღეისო პრობლემებზე საქმიანი სჯა-ბაასით გამოირჩეოდნენ მეცადინეობანი ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, აგრეთვე მახარაძის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ახმეტის, გარდაბნისა და სხვა რაიონების შრომითს კოლექტივებთან შექმნილ პოლიტწრეებსა და პოლიტსკოლებში.

კარგი იქნება, თუ კვლავაც ყურადღებით გავაანალიზებთ მათს გამოცდილებას, აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს, საერთო კუთვნილებად გადავაქცევთ საუკეთესო პროპაგანდისტთა მეთოდიკურ ოსტატობას, აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში 31 ათასი პროპაგანდისტი მუშაობს, რომელთაგან ბევრია ნამდვილად შთაგონებული პროპაგანდის, ცხოვრებასთან სწავლების შემოქმედებითი შეერთების აქტიური ორგანიზატორი. წარმოებაში ქალის როლის გააქტიურებასთან ერთად სულ უფრო დიდი რაოდენობით ებმებიან ისინი პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ქსელში. ვისწავლოთ, რომ უკეთ ვიმოქმედოთ! — აი დევიზი მათი სწავლებისაკენ დიდი სწრაფვისა. მაგრამ თვით პროპაგანდისტი ქალებიც ცოტანი როდი არიან. მთელს რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი ნინო მესხმა, ელენე იანუშევიჩმა (თბილისი), თამარ ხუციანიძემ (ბათუმი), თინა მამალაძემ (მახარაძე) და სხვა პროპაგანდისტებმა.

პოლიტიკური განათლებისათვის მუშაობაში ნამდვილი ნიშანსვეტები გახდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები: **„მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“, „ტაშკენტის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლებისა და ეკონომიური განათლების შესახებ“, „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“**, აგრეთვე ბევრი სხვა პარტიული დოკუმენტი.

დღეს, როცა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წელი დავიწყეთ, თითოეული პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციის მთავარი ორიენტირია ამ მხრივ პარტიის XXV ყრილობის მითითებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება **„სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“**. ამ დადგენილებაში მკაფიოდ და ნათლად არის გაანალიზებული კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში პარტიული ორგანიზაციების მიერ შეძენილი გამოცდილება და პერსპექტივები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ამ დადგენილებით განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ყველგან საფუძვლიანად შეითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ინტერნაციონალური მოძღვრების, ფუძემდებელი პრინციპები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება, თეორიაში შეტანილი ის შემოქმედებითი წვლილი, რომელსაც შეიცავენ ჩვენი პარტიის ბოლო ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პარტიის სხვა ხელმძღვანელების გამოსვლები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტები.

დღევანდელ ეტაპზე პარტიული სწავლებისა და მასობრივი პროპაგანდის მთავარ ამოცანად მიჩნეულია სკკპ XXV ყრილობის მასალების ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა, რაც ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულების საუკეთესო წინაპირობაა.

**„გააცნონ ყრილობის იდეები თითოეულ კომუნისტს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს,— თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე, — ასეთია არა მარტო პროპაგანდისტების, ლექტორებისა და მომხსენებლების, არამედ ყველა ჩვენი პარტიული აქტივისტის საპატიო მოვალეობაც. ამ მუშაობაში უნდა ჩავაქსოვოთ მთელი ჩვენი ცოდნა, დარწმუნების მთელი უნარი, მთელი ჩვენი სულიერი მგზნებარება. ყოველივე ეს ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელების ერთ-ერთი წანამძღვარია“.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, შემოქმედებითად ამდიდრებს ლენინური პარტიის თეორიასა და პოლიტიკას დებულებებითა და დასკვნებით.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1976-1980 წლების განვითარების ძირითად მიმართულებათა შესწავლას ყრილობის სხვა მასალებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება.

პარტიული განათლების სისტემის დაწყებითი და საშუალო რგოლებისათვის მზადდება შესაბამისი დამხმარე სახელმძღვანელოები. როგორც გათვალისწინებული იყო, ახალი საგნები დაემატა არსებულ სასწავლო გეგმებს.

ამჟამად, როგორც ცნობილია, პოლიტიკური განათლების სამივე რგოლი ორწლიანი პროგრამით იმეცადინებს. რა ახალი საგნები შემოვიდა? დაწყებით რგოლში სწავლობენ კურსს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალური საკითხები“; საშუალო რგოლში — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმია მოქმედებაში“, ხოლო უმაღლეს რგოლში — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“.

დღევანდელ ეტაპზე, უხვად გამოცემული სხვადასხვა საჭირო ლიტერატურისა და ინფორმაციის მძლავრ საშუალებათა პირობებში, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური თვითგანათლება, როგორც რევოლუციური თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სწავლების დროს უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მეცადინეობის ისეთი აქტიური ფორმები და მეთოდები, როგორიცაა: თეორიული კონფერენციები, სემინარები, გასაუბრება, პრაქტიკულ დავალებათა შესრულება, რეფერატების მომზადება და სხვ.

ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარზე მთავარია ჩვენი რესპუბლიკის როგორც პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების, ისე ეკონომიური სწავლების სისტემაში პარტიის XXV ყრილობის მასალების შესწავლა უნარიანად დაუკავშირდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს პარტორგანიზაციის თაობაზე მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს, რომ ეს დადგენილება გადაიქცეს თითოეული ადამიანის მოქმედების ჭეშმარიტ სახელმძღვანელოდ, მისი დებულებანი — საქართველოს მშრომელთა აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად.

დიახ, ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ამოცანები მეტად დიდია, საპატიო და პასუხსაგები. ახლა, როცა სასწავლო წელი უკვე დაიწყო, საჭიროა ერთხელ კიდევ გულმოდგინედ ავწონდავწონოთ ყოველივე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პოზიციიდან შევხედოთ საქმეს, ამასთან კარგად გავითვალისწინოთ ის ნაკლი და ხარვეზი, რაც წლეულს მაისში შემაჯამებელ მეცადინეობებზე გამოვლინდა. არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მეცადინეობის ხარისხი, შინაარსი, იდეური დონე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პროპაგანდისტთა ცოდნაზე, გამოცდილებასა და ოსტატობაზე, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე.

აი რა უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა ქალ-მა-პროპაგანდისტებმაც.

მთელი სწავლება პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ყველა რგოლში ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ფართოდ გავრცელდეს და დაინერგოს მოწინავე შრომითი კოლექტივების დადებითი გამოცდილება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსთაველ მეტალურგთა სასარგებლო თაოსნობა „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით!“

იმ მიზნით, რომ პროპაგანდისტულ მუშაობაში უფრო ფართოდ დაინერგოს მეცნიერული საფუძვლები, უკეთ უხელმძღვანელოს და დაეხმაროს პროპაგანდისტებს, პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლს შემუშავებული აქვს 1976-1980 წლების პერსპექტიული გეგმა. იგი ითვალისწინებს პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარებისა და ლექტორიუმების მოწყობას იმ საგნებში, რომლებსაც ამ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების უმაღლეს რგოლში შეისწავლიან. მოეწყობა აგრეთვე სემინარები თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალური საკითხები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმია მოქმედებაში“. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების ქსელიც.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა პოლიტიკური სწავლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ბევრ რამეში იგი მოძველდა, ფორმითა და მეთოდიკით ჩამორჩა პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის თანამედროვე მიღწევებს... ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს პოლიტიკური სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კმაყოფილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც ახალი სასწავლო წლისათვის უკვე გადაიდგა ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი.

ერთერთი მთავარი საკითხია პროპაგანდისტულ მუშაობაში ფორმალიზმის აღმოფხვრა. თითოეულ ჩვენგანზე დიდად არის დამოკიდებული მივაღწიოთ, რომ როგორც ეს ამას წინათ იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე აღინიშნა, მეცადინეობანი პოლიტიკური თუ ეკონომიური განათლების ქსელში იწვევდეს საღ, ცოცხალ კამათს, აზრთა ნამდვილ გაცვლა-გამოცვლას, ამხანაგურ პაექრობას, მწვავე პრობლემებზე სჯა-ბაასს.

დიახ, პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემის ყველა რგოლში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ პირველი მეცადინეობებიდანვე უზრუნველვყოთ სწავლების მაღალი დონე, სრულად უპასუხოს მას სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებს.



საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზურაბ წერეთელი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც 50-60-იანი წლების მიჯნაზე დამაჯერებლად შემოვიდა ქართულ ხელოვნებაში და სულ მალე მოწინავე პოზიციებიც დაიმკვიდრა. მისმა შემოქმედებამ ფართო სარბიელზე გაიტანა ქართველ მონუმენტალისტთა მიღწევები.

ფართოა ზურაბ წერეთლის შემოქმედებითი დიაპაზონი: ფერწერა, წიგნის გრაფიკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, რელიეფური კომპოზიციები ლითონზე.

ვრცელია გეოგრაფიული ასპარეზი:—მისი მონუმენტურ-დეკორატიული ნამუშევრები საქართველოს ფარგლებს გასცდა. ახლა მათ შეხვდებით არა მარტო თბილისში, ბიჭვინთაში, ბორჯომსა და საირმეში, არამედ მოსკოვში, ულიანოვსკსა თუ ადლერში, ბრაზილიის ახალ დედაქალაქ ბრაზილიაში.

მხატვრის ბუნებას, დაუშრეტელ ენერგიას, ახლის ძიების დაუცხრომელ სურვილს გამოხატავს „რელიეფური ფერწერა“, რომელიც სცილდება მოზაიკის ტრადიციულ სპეციფიკურობას.

დღეს წინა პლანზეა წამოწეული დეკორატიულ-მონუმენტური დარგი და ეს გასაგებიცაა. მას ქალაქებისა თუ დასახლებული ადგილების გაშენებისა და რეკონსტრუქციის საქმეში დიდი ადგილი ეთმობა. საბჭოთა მოქალაქეს რომ ლამაზი, ხალისიანი გარემო შეექმნას, ესაა მონუმენტალისტ მხატვრების ამოცანა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საპატიო მოვალეობას ზურაბ წერეთელმა, თავის თანამემამულეებთან ერთად, კარგად გაართვა თავი.

ზურაბ წერეთლის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა დეკორატიულ-მონუმენტური ხელოვნების გამარჯვება, რომელმაც, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი-მონუმენტალისტის დავით ალფარო სიკეიროსის თქმით, „საერთაშორისო ჟღერადობა მოიპოვა“.



ეროვნული ბიბლიოთეკა



აკადემიკოსი აკაკი შანიძე

# ივანე ჯავახიშვილი

(მოგონება)

ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელია. უნივერსიტეტის პირველი უჯრედი მან 1908 წ. შექმნა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე დააარსა. აქ ქართველი სტუდენტები მოხსენებებს ქართულად კითხულობდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის სხვადასხვა თემაზე და კამათიც ქართულად მიმდინარეობდა. ამ მოხსენებათა ერთი კრებული 1915 წ. თბილისში დაიბეჭდა.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ქართველი ხალხის ოცნება იყო. ამ ოცნების სინამდვილედ ქცევა ივანე ჯავახიშვილს ხვდა წილად. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმეთა წარსამართავად, პირველ ყოვლისა, სამეცნიერო ძალები იყო საჭირო. ივანე ჯავახიშვილს შედგენილი ჰქონდა სია ქართველი მეცნიერებისა, რომლებიც რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში იყვნენ გაფანტულნი. ივანე ჯავახიშვილი დარწმუნებული იყო, რომ, სათანადო პირობების შექმნისას, ეს მეცნიერები მოაშურებდნენ თბილისს და აქ განაგრძობდნენ სამეცნიერო მოღვაწეობას.

გამოსარკვევი იყო მეორე საკითხიც: სტუდენტების რაოდენობა და მათი განაწილება სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით. ამ მიზნით ,,ქართველთა სამეცნიერო წრემ", მისი ხელმძღვანელის ი. ჯავახიშვილის მითითებით, დაგზავნა ანკეტები ქართველ სტუდენტთა შორის იმპერიის ფარგლებშიცა და საზღვარგარეთაც. ანკეტა რუსულ ენაზე ორგვარად შეადგინეს: ერთი პეტერბურგის სტუდენტთათვის (ვრცელი) და მეორე — ყველა დანარჩენთათვის (შემოკლებული). ანკეტაში სტუდენტებს პასუხი უნდა გაეცათ სხვადასხვა კითხვაზე: რა სპეციალობას სწავლობს, როგორია ქონებრივი მდგომარეობა (რას იღებს თვიურად), სწამს ღმერთი თუ არა და სხვა. ეს ღონისძიება 1911-12 წლებში ჩატარდა. დაბრუნებული პასუხებიდან გამოირკვა, რომ ქართველი სტუდენტობა საკმაოა და მათი სპეციალობაც მრავალფეროვანია. ამის შემდეგ სრულიად ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტის დაარსებისთვის თბილისში ნიადაგი სრულიად მომზადებულია, თუ ამას ხელს არ შეუშლის პოლიტიკური პირობები.

ანკეტასთან დაკავშირებით ერთი ინციდენტი მოხდა: ოდესაში რომელიღაც ქართველ სტუდენტს, გაჩხრეკის დროს, ანკეტა უპოვეს; ამან შეაშფოთა ადგილობრივი პროკურატურა. მაშინვე აფრინეს შეკითხვა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე: არსებობს თუ არა ასეთი სამეცნიერო წრე უნივერსიტეტში და აქვს თუ არა მას ნება, რომ ანკეტა მოაწყოსო. რექტორმა ეს შეკითხვა გადაუგზავნა აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დეკანს. დეკანად იმ ხანებში ნიკო მარი იყო. მან გამომიძახა (იმ დროს „ქართველთა სამეცნიერო წრის" თავმჯდომარე ვიყავი. ჩემამდე თავმჯდომარე იყო იოსებ ყიფშიძე, ჩემს შემდეგ კი — გ. ჩიტაია) და ყველაფერი გამომკითხა სამეცნიერო წრის შესახებ. მე მოვახსენე, რომ ანკეტის მოწყობის ამბავს ჩვენ არ ვმალავთ და ამის შესახებ ცნობას უნივერსიტეტის წლიურ ანგარიშშიც ვათავსებთ-მეთქი. ნიკო მარმა საპასუხო წერილში ოდესის პროკურატურას ასე შეატყობინა: „ქართველთა სამეცნიერო წრე" მართლაც არსებობს პეტერბურგის უნივერსიტეტში, მისი ხელმძღვანელია კნიაზი ი. ჯავახოვი და ცნობა ანკეტის მოწყობის შესახებ დაბეჭდილია უნივერსიტეტის წლიურ ანგარიშშიო. ამით ამოიწურა ეს ინციდენტი. მაგრამ უნივერსიტეტში არ მოსწონდათ, რომ ჩვენს წრეში მოხსენებები ქართულად იკითხებოდა და კამათიც ქართულ ენაზე წარმოებდა. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე არსებობდა მეორე სამეცნიერო წრე „Кружок ориенталистов", რომლის ხელმძღვანელი იყო პრივატ-დოცენტი რუდნევი (მონღოლისტი). მან ერთხელ დამიბარა და მითხრა: მოდი შევაერთოთ ჩვენი წრეებიო. მე მაშინვე გამიელვა თავში, რომ შეერთებას მოჰყვებოდა რუსულ ენაზე გადასვლა მოხსენებათა კითხვისა და კამათის დროს. ეს კი გაანელებდა ინტერესს ქართველ სტუდენტებს შორის ქართული ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის საკითხების შესწავლისადმი. პირდაპირ უარი არ მითქვას, მაგრამ მოვითათბირებთ-მეთქი, ვუპასუხე.

რაც უფრო მაღლა იწევდა 1914 წელს დანთებული პირველი მსოფლიო ომის ცეცხლი, მით უფრო ნათლად ჩნდებოდა მოსალოდნელი ცვლილებები პოლიტიკის სფეროში. თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში ი. ჯავახიშვილმა თავის ბინაში მეცნიერთა მცირე ჯგუფი შეკრიბა და ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი დასვა. მალე იგი თბილისში დაბრუნდა და უნივერსიტეტის გახსნის სამზადისს შეუდგა. მთელი ზაფხული ამ სამზადისს მოანდომა. სხვათა შორის, აღიძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის საძხარეო კომიტეტის წინაშე (Особый Закавказский Комитет). რათა დაემტკიცებინათ უნივერსიტეტის წესდება, მაგრამ წესდება აქ არ დაამტკიცეს და პეტროგრადში გადაგზავნეს. იქ მაშინვე შეუდგნენ სამზადისს, რომ თბილისში დაეარსებინათ უნივერსიტეტი, ოღონდ სწავლება „სახელმწიფო" ენაზე ე. ი. რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს წამოწყება უშედეგო აღმოჩნდა, რადგანაც მალე გაისმა დიდი ოქტომბრის მჭექარე ხმა და პოლიტიკური ამბებიც სულ სხვანაირად დატრიალდა.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება ნათელი გახდა. იოსებ ყიფშიძე და მე 1917 წლის 21 ოქტომბერს გავემგზავრეთ პეტროგრადში, რომ იქაური საქმეების ლიკვიდაცია მოგვეხდინა და ჩვენი წიგნებიც გადმოგვეტანა. იქ 27 ოქტომბერს ჩავედით, დიდი რევოლუციის მესამე დღეს.

მე მალე მოვაგვარე ჩემი საქმეები, ავიღე ნაწილი ჩემი წიგნებისა და წამოვედი. ი. ყიფშიძე კი პეტროგრადში დარჩა, რათა ი. ჯავახიშვილის წიგნთსაცავისა, თავისი და ჩემი დანარჩენი წიგნების გამოგზავნის საქმე მოეგვარებინა. მან და გ. ჩუბინაშვილმა რკინიგზის სამმართველოსაგან იშოვეს ორი ვაგონი, ჩააწყვეს შიგ ი. ჯავახიშვილის ქონება, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო წიგნები, ამავე ვაგონით წამოიღეს ჩემი წიგნები, ი. ყიფშიძის წიგნები, გ. ჩუბინაშვილის ქონება წიგნებითურთ და კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტის სახელზე გამოგზავნილი მთელი მასალა ანისის მრავალწლიანი გათხრებისა, რომელსაც ნ. მარი აწარმოებდა. ამ ვაგონებმა ჩრდილო კავკასიამდე მოაღწია. იქ იმ დროს, სამოქალაქო ომის ცეცხლი იყო გაჩაღებული.



ივ. ჯავახიშვილი მეგობართა შორის

ამ ცეცხლში დაიღუპა ჩვენი მასალებიც, ისე რომ ჩვენდა სამწუხაროდ თბილისამდე არ მოუღწევია.

1917 წლის ორი უკანასკნელი თვე და 1918 წლის იანვარი უნივერსიტეტის დაარსების პრაქტიკულ საკითხებს მოსმარდა.

ხალხი აღფრთოვანებით მოელოდა უნივერსიტეტის გახსნას. მოდიოდა და მოდიოდა შეწირულება. გადაწყდა, უნივერსიტეტი 26 იანვარს გახსნილიყო (მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ ძველი სტილით იყო თვეებისა და დღეების ანგარიში), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. საკითხი იდგა იმის შესახებაც, თუ ვინ უნდა აგვერჩია რექტორად. რადგანაც უნივერსიტეტის ფაქტობრივი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი იყო, ყველა იმ აზრისა იყო, რომ იგი უნდა ჩასდგომოდა სათავეში ახლადდაარსებულ უმაღლეს სასწავლებელს. მაგრამ მოხდა, რასაც არ მოველოდით: ივანე ჯავახიშვილმა ახალი უნივერსიტეტის რექტორობას თავი აარიდა და ამ პოსტზე ცნობილი ქიმიკოსი, უკვე ხანში შესული მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი დაასახელა. ივანე ჯავახიშვილი, ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ინტერესებით ხელმძღვანელობდა: მართალია, უნივერსიტეტს მომხრე ბევრი ჰყავდა, მაგრამ მოწინააღმდეგენიც ბევრნი იყვნენ. მათ სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. საჭირო იყო, რომ უნივერსიტეტის სათავეში მდგარიყო ფრიად ავტორიტეტიანი კაცი. პეტრე მელიქიშვილი, რომელსაც კარგად იცნობდნენ რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, სწორედ ასეთი კაცი გახლდათ.



პროფტექნიკური განათლების № 9 საშუა-
ლო სასწავლებლის შენობა.



შორენა ჩხენკელი მეცხოველეობის ფერმის მექანიზაციის ჯგუფის წარჩინებული მოსწავლეა.

# ხვალინდელ დღეთა იმედი

წულუკიძეში ლენინის ქუჩაზე სამსართულიან შენობათა თეთრი კორპუსები აღმართულა. შენობა სიმწვანეშია ჩაფლული. ფაქიზად მოვლილი გაზონები ეზოს ლაზათსა და სიმშვენიერეს მატებს.

სექტემბერია. ფართო, ნათელ დერეფნებში ახალგაზრდები შემოჯარულან. პროფესიულ-ტექნიკური განათლების № 9 საშუალო სასწავლებელი სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებს. აქ ის ახალგაზრდობაა, სასურველი პროფესიისადმი დიდმა სიყვარულმა რომ მოიყვანა.

მათ ტრაქტორისტ-მემანქანეების, ექსკავატორის მემანქანეების, მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორთა, მეყვავილე-დეკორატორთა, სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის მონტიორების, ჰიდროსამელიორაციო სამუშაოთა მექანიზატორების, მეხილეობა-მებოსტნეობის ოსტატთა პროფესიები აირჩიეს. მოსწავლეთა განკარგულებაშია კარგად მოწყობილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, სადაც ისინი თავიანთ თეორიულ ცოდნას პრაქტიკული ჩვევებით განამტკიცებენ.

სასწავლებლის ისტორია 1933 წლიდან იწყება. თავდაპირველად სატრაქტორო კურსები შეიქმნა. ერთი წლის შემდეგ 101 ტრაქტორისტი გამოუშვეს. კურსებმა შემდეგ თანდათან გაშალა ფრთები. მალე პროფტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთდა. დაიწყო სასწავლო, საცხოვრებელი კორპუსების, ტრაქტორების, ავტომანქანების, მანქანა-იარაღთა ლაბორატორიების მშენებლობა. 1971 წლიდან კი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია, იღებენ რვაკლასდამთავრებულ ახალგაზრდობას, რომელიც საშუალო განათლებასთან ერთად სპეციალობასაც იძენს.

სასწავლებელში ამჟამად 800-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. ვის არ შეხვდებით აქ. საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიან კუნთმაგარი, ცოდნისა და შრომის სიყვარულით აღჭურვილი ჭაბუკები და გოგონები.

სასწავლებელს მრავალი ახალგაზრდა აწყდება ყოველწლიურად. წულუკიძისა და სხვა მეზობელი რაიონების მოსწავლეთათვის ეწყობა „ღია კარის დღე". ამ ზაფხულს შერჩევითი მიღება იყო. მოვიდნენ ფრიადოსანი და კარგოსანი მოსწავლეები. ისინი აქ, თავიანთ მეორე ოჯახში საშუალო განათლებასაც მიიღებენ და პროფესიასაც დაეუფლებიან, გახდებიან მომავალი მექანიზატორები. მათ აქვთ შემართება, ხვალინდელი დღის წინასწარი ჭვრეტის უნარი და იციან შრომის ყადრი.

მზრუნველი პედაგოგები, საწარმოო სწავლების ოსტატები მოსწავლეებს ყველა პირობას უქმნიან შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისა, სწავლისა და დასვენებისათვის.

თეორიული სწავლების კარგად წარმართვისათვის ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, ელექტროტექნიკის კაბინეტებთან ტექნიკური და საგნობრივი წრეებია ჩამოყალიბებული.

ტრაქტორების კაბინეტში ვართ. ნათელ, ფართო ოთახში სასწავლო, მოხერხებული მაგიდები . დგას. თაროებზე ტრაქტორის ძრავის ჭრილების მოდელებია ჩარიგებული. თვალსაჩინო ადგილას დტ-75-ის ძრავაა მოქმედი ჭრილით და მოსწავლეთათვის ნათელი ხდება მექანიზმის მუშაობის პროცესი. სქემას პედაგოგი ბავშვებს დაფაზე ნახაზებით უხსნის.

ხაზვის კაბინეტში სპეციალური სახაზავი მაგიდებია. სხვადასხვა სახის ზამბარის, ჭანჭიკის, ქანჩის ნახაზები კედელზე გამოუკრავთ. გეოგრაფია-ბიოლოგიის კაბინეტში ავტომატურად მოძრავი რუკებია სამართავი პულტით. იქვეა წულუკიძის რაიონის რელიეფური რუკაც. სამხედრო სწავლების ხელმძღვანელს შ. ჭავჭანიძეს სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კაბინეტი ჩინებულად მოუწყვია. პედაგოგი გაკვეთილების მსვლელობის დროს თვალსაჩინოებას და სტენდებს მოხერხებულად იყენებს. ოთახში ავტომობილის ძრავის ჭრილების მოდელებია. კინოფილმებსაც უჩვენებენ.

პედაგოგების, საწარმოო სწავლების ოსტატე-

ბის უმრავლესობას უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს მიღებული. აი ისინი: პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატები ვ. გოროზია, გ. კვერნაძე, საწარმოო სწავლების ოსტატები ი. რუხაძე, ი. სანოძე, ახალგაზრდა ოსტატები ლ. მირიანაშვილი, მ. გორდულაძე, ს. მაგილაძე, პედაგოგები ვ. ცაგარეიშვილი, თ. ჩაკვეტაძე, ე. მაჭარაძე, ე. კაკაურიძე. მათ კარგად ესმით, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდა-მომზადების საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სასწავლებელს დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმეში. კურსდამთავრებულთა შორის ბევრია მოწინავე ადამიანი, მაღალი მოსავლის ოსტატი და არაერთი მათგანის თავდადებული შრომა მთავრობის ძიერ აღნიშნულია მაღალი ჯილდოთი. მექანიზატორთა მძლავრი, მაღალკვალიფიციური კადრები შემდეგაც გაიზარდნენ, გზა გაიკაფეს და გახდნენ მეცნიერების კანდიდატები, პარტიული, საძეურნეო მუშაკები, ინჟინრები, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

მაგული ლეკიშვილს, ამ მკვირცხლ გოგონას აღმზრდელმა კოლექტივმა შრომის სიყვარული ჩაუნერგა. ცხოვრების საგზური აიღო და ტრაქტორის მემანქანის სპეციალისტმა გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. იგი ჩაის საკრეფ მანქანას მართავს, და მან დამსახურებულად გაითქვა სახელი. სასწავლებელი ამაყობს სახელოვანი აღზრდილით.

აქ აღიზარდნენ სოციალისტური შრომის გმირი გ. სიჭინავა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. კილაძე, მექანიზატორი ნ. ბარაბაძე, ინჟინრები ვ. და ა. აკობიები და რომელი ერთი დავასახელოთ.

შორენა ჩხენკელი მეცხოველეობის ფერმის მექანიზაციას საუკეთესოდ ეუფლება. სწავლაში მოწინავე, მხატვრული თვითმოქმედი წრეების მონაწილე და მომხიბლავი დეკლამატორია. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. შორენა არის სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრი.

წარჩინებულ მოსწავლეთა შორის გვისახელებენ დალი ჭავჭანიძეს, ელენე გლუხოვას, ძადონა ჭავჭანიძეს, მაყვალა კიკალიშვილს, ლაურა უგულავას, თინათინ საღარეიშვილს.

ეზოს განაპირას მანქანა-იარაღების პარკია. სასწავლებელს აქვს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სხვადასხვა მარკის ტრაქტორით, ექსკავატორით, ბულდოზერით, კომბაინით, ავტომანქანით. ეს საწარმოო პრაქტიკისათვის არის გათვალისწინებული.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში რაიონის კოლმეურნეობებს ეხმარებიან. მექანიზატორმა გოგონებმა დალი ბახტაძემ, თინათინ ჩარგეიშვილმა სახელი გაითქვეს. მეჩაიეობისა და მესიმინდეობის კომკავშირულ რგოლებს ქეთინო შავლაყაძე და მარინე ჩაგუნავა ხელმძღვანელობენ. მოსწავლეები კოლმეურნეობებს თივის დამზადებაში სიმინდის სამუშაოებში შველიან. რუსთაველთა დევიზი — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — ძუ-



ტრაქტორისტ-მემანქანეთა ჯგუფის ფრიადოსანი მოსწავლე ლილი ბახტაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებს ემატოს ბარაქა, — ამბობს მარინე ჩაგუნავა.





პედაგოგი გურამ ბერიძე სილოსის დამზადების აგროტექნიკას აცნობს მოსწავლეებს.



მოსწავლეთა ახალი საცხოვრებელი კორპუსი.

ფერადი სურათები დ. იაკობაშვილისა

შური გარანტია!“ „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“ — სასწავლებლის მუშაობის დევიზი გახდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ სასწავლებელში მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მექანიზატორთა პროფილი შეიქმნა.

სპორტის მოყვარულნი თავიანთ შესაძლებლობებს სასწავლებლის სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე ავლენენ. მათ განკარგულებაშია კალათბურთის ხუთასადგილიანი მოედანი, აქვთ ფეხბურთის მოედანი. კალათბურთელ ვაჟთა გუნდს არაერთგზის მოუპოვებია საპატიო ადგილი. იყო რესპუბლიკის ჩემპიონი. წლეულს ქ. გორკში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო. შრომითი რეზერვების სისტემაში საკავშირო მასშტაბით მესამე საპრიზოგი ადგილი ხვდა ფრენბურთელებს.

სასწავლებელში აშენდა საზეინკლო სახელოსნო. ახალ სასწავლო სახელოსნოში 240 ბავშვის დამოუკიდებელი სამუშაო ადგილია. დამთავრდა ავტოტექმომსახურების ობიექტის მშენებლობა.

მოსწავლეებს სასწავლო კორპუსებს გარდა აქვთ კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი, სადაც 550 ბავშვი ცხოვრობს. მათ ემსახურებათ აბანო-სამრეცხაო. არის სასადილო, ბიბლიოთეკა, კლუბი, ნახულობენ ახალ ფილმებს, მართავენ სადამო კონცერტებს. დირექტორი ბ. ფაილოძე გვესაუბრება: — სასწავლებელს მრავალჯერ მიუღია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელი, სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპატიო სიგელები. იგი შეტანილია საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საპატიო წიგნში. მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და კონტინგენტის გეგმის შესრულებისათვის მესამედ ზედიზედ მივიღეთ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ჩვენი გამოცდილი კოლექტივი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და სწავლების მეთოდურ საკითხებში ცაგერის ახალგაზრდა № 91 პროფტექნიკური და სხვ. სასწავლებლებს გამოცდილებას უზიარებს და დახმარებას უწევს.

ამ თეთრი შენობის სითბო ცხოვრების გზაზე დიდხანს მიჰყვება მის კედლებში აღზრდილ ახალგაზრდობას. ისინი სიამაყის გრძნობით ესტაფეტას იღებენ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინსვლისათვის ძალასა და ენერგიას არ იშურებენ.

მიზანი ერთი აქვთ:

იყონ კომუნისტური მორალის მტკიცე მატარებელნი, კომუნიზმის აქტიური მშენებელნი, იყონ მოწინავენი!

შრომა აწრთობს, აკეთილშობილებს ადამიანს! და ისინი, ახალგაზრდები ხომ ხვალინდელ დღეთა იმედნი არიან!

ეთერ ჯაფარიძე

ნანა კანდელაკი




ეს ყველაფერი 1944 წლის გაზაფხულზე მოხდა...

ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ ჩვენი არმიის გამარჯვებებს. იმ დღეებში გაზეთებს სათუთად ინახავდნენ და, ნაცნობ სტრიქონებს მალიმალ, ისევ და ისევ გადაიკითხავდნენ ხოლმე. ამდენი ხნის ბოღმა, ნაღველასავით რომ უწამლავდა და უმხამავდა ყველას გუნებას, როგორც იქნა, ამოენთხა ზევით, შვება აგრძნობინა ადამიანებს.

— მიტო რას იწერება, მაკუნა? ისიც უტევს ფაშისტებს? — ქუქუნამ პურის რიგში შეამჩნია მაკო და ხმამაღლა გამოელაპარაკა. თან ენა დაიშაქრა: იცოდა, რა შეხედულებისაც იყო მასზე ცხვედაძის ქალი და, უფრო ხალხის დასანახავად მოაჩვენა მხიარულად ყველას თავი, — არც ისეა საქმე, თქვენ რო გგონიათ.

— უტევს კი... — ცივად გაეპასუხა მაკო და მეზობლად მდგარ სიდას გაუბა საუბარი.

— იი, ვინ იცის, ჩვენს მიტუას ორდენებისა და მედლების მისაბნევი ადგილიც აღარ დარჩა, ჰა, მაკო? — გაიბადრა ქუქუნა.

— ფრონტი შენი მაღაზია ხომ არა გგონია, შენს ნებაზე რომ ურიგებ პურს, ვისაც გინდა, რამდენიც გინდა და რა ფასადაც გინდა? იქ ორდენებს და მედლებს ადამიანები სისხლით მოიპოვებენ. — მკაცრად მიაძახა მაკომ და მრისხანედ მიაჩერდა.

— ქა, ვის რა მივეცი ტყუილია! აი, მაბრალებს, ხალხო, გეფიცებით. ეგრე რად გამწირე, მაკო? უიმე.,. რა მითხრა, ქა... — აფორიაქდა ქუქუნა და, ისეც ღაჟღაჟა ლოყები ცეცხლისფრად აენთო.

— უტიფარო! გაბრალებს კი არადა, სიმართლე გითხრა! ასეა, ქუქუნა, ნუ გგონია, დავბრმავდით და ვეღარაფერს ვხედავთ! — უყვირა რიგში მდგარმა დარო ხიზანიშვილმა.

— აბა, დაიხედე, რა კაბით დგახარ დახლთან?.. მაგ კაბას აქ ჩაიცვამს ადამიანი? გასათხოვარი გოგოები დაკემსილ ტანსაცმელში დადიან, შენ კი... საიდანა? რანაირადა? ჰოდა, ეგრეა, ყველაფერიც ვიცით. — ნიშნის მოგებით გადაულაპარაკა სიდამ.

რიგში მდგომნი აღუდუნდნენ:

— ეგრეა, დიახ!

— რომ არც არაფრისა რცხვენია, ქა...

— რცხვენია კი არადა... შეხედე, რა გამოპრანჭულია, თითქო ქორწილში მიდიოდეს! ,

— ქა, რას ჩააცივდით ამ ჩემს ტანსაცმელს; სანიტარული კომისია სულ იმას ჩამჩიჩინებს, სუფთად და კოხტად იარეო, მა რა ვქნა?

ქუქუნას გულუბრყვილო პასუხზე გაბრაზების მაგიერ ყველას ხმამაღლა გაეცინა.

ერთი პირობა, ამ ხარხარმა დააბნია ქალი, მაგრამ, მერე, გონს რომ მოეგო, გაბრაზებულმა ხელი აიქნია და თავისებურად იქექა:

— რა პირები დაგიფჩენიათ, რა გაცინებთ, რა ვთქვი ისეთი?

— აი, ეს კი მართალი თქვი... — მწარედ უთხრა მაკომ და საყვედურით მიაჩერდა გაფაშფაშებულ ქუქუნას. — სასაცილო, მართლაც არაფერია...

ქუქუნამ ენაზე იკბინა, მიხვდა, ის წამოცდა, რაც არ უნდა ეთქვა და გაიტრუნა. ენა მუცელში ჩაიგდო. სწრაფად აამუშავა ხელი და რიგში მდგომთ ჩქარა მოემსახურა.

მაგრამ, რაკი სადღეღელი აეშალათ, ადამიანებს ასე უცებ რაღა გააჩუმებდათ?

— ეგ ბრჭყვიალა კაბაც საბურთალოს ბაზარზე იყიდე, ქუქუნა?

— კაბა რა ბედენაა, თავშალს უფრო ძვირად იყიდიდა. ნახეთ, რა საქონელია...

— პალტო, რა, ნაკლებია? შეხედეთ, ლურსმანზეა ჩამოკიდებული. ალბათ, ჩვენს დასანახავად. ბარაქალა, ქუქუნა, კარგი გემოვნება გქონია!

— ჟურნალში ჩახატულსა ჰგავს ჩვენი ქუქუნა! ამ დახლთან ტყუილადა დგას?!

— რაც მართალია, მართალია, სანიტარული ექიმის მითითებას კარგად ასრულებს!

— პირიანი ქალია!

სხვა დროს თვალებსაც დასთხრიდა ამის მთქმელსა და არც ამდენს ალაპარაკებდა;

---

ნაწყვეტი რომანიდან — „მაკო ცხვედაძე“.

მაგრამ ახლა ქუქუნას ხმაც არ ამოუღია, თითქოს არაფერი გაეგონოს. ბეგლარის სიტყვები მოაგონდა — ამის შემდეგ ვინც რა არ უნდა გითხრას, ენა დაიმაქრეო. და, თუ მაგის გუნებაზე არ იქნები, კრინტი არ დასძრაო. ჰოდა, ისიც სდუმდა. გულში კი ცეცხლი ეკიდა, ლამის იყო აღრიალებულიყო სიმწრისაგან.

ქუქუნამ ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ყველას დასანახავად თვალებზე მიიფარა, მერე, უცებ, ლამაზი, დიდრონი წითელი ვარდებით მოფენილი თავშალი თავიდან მოიგლიჯა და დარო ხიზანიშვილს გაუშვირა:

— დაიხურავ, რომ მოგცე? დაიხურავ?

— უი, შე უტიფარო! — გაბრაზდა დარო. — რა ჩემი შესაფერისი ეგ არის! შენი ტოლი არ უნდა იცოდე? ერთი ამას დამიხედეთ!

— მაშ რას იქავებთ ენებსა? რას მიძვრებით სულში? რა გინდათ ჩემგან? — აღრიალდა ქუქუნა. — ერთი საწყალი ქვრივი ვარ, რა გშურთ ჩემი, რა?..

— ნუ შეყარე ხალხი, მორჩი წუწუნს! — უყვირა დარომ. — არიქა, გული არ აგვიჩუყო! ჭკუაზე მოდი, არადა, არ დაგაფარებთ ხელს, არა! გეყო, რაც ითარეშე და ჯიბე გაისქელე ჩვენი კაპიკებით! რამდენჯერ დავაპირე რაიკომის მდივანთან მისვლა, შენი შვილის ხათრით შევიკავე თავი, ახლა კი მორჩა: ან გამოსწორდი, ან მოშორდი აქაურობას! იმ ბალღს ჩვენ მოვუვლით! შენგან მაინც ვერაფერს ისწავლის წესიერს!

— დაჭერას მიპირებთ?! — შიშით გახედა რიგში მდგომთ ქუქუნამ, და ტირილს უმატა.

— არც მაგაზე დავიხევდით.

— ვაიმე, როგორ არ გეცოდებით? სოლო პაპაც არ გებრალებათ? ან ის საცოდავი ჩემი ქმარი, ის უდროოდ წასული ამ ქვეყნიდან? — მოთქვამდა ქუქუნა და ძვირფასი თავშალით თვალებს იმშრალებდა.

— მორჩი ღრიალს, სამუშაოდან მოვდივართ, დაღლილები. გაყიდე პური! — მკაცრად უთხრა დარომ.

ქუქუნამ დანა დაუსვა პურს, საწორზე შემოდვა და ისევ ტირილით განაგრძო დუდუნი.

პურის მაღაზიაში მირიანი შემოვიდა. ატირებული ქუქუნა რომ დაინახა, ცნობისმოყვარეობით ჰკითხა სიდას:

— რა მოხდა? პური ხომ არ დააკლდა ქუქუნას?

— აჰ, ჩვენს გამყიდველს ამისთანა რამე როგორ შეემთხვევა! მისხალიც არ დაჰკარგვია არასოდეს. — ჩაიკისკისა მზიამ.

— მაშ რატომ ტირის?

— თავის ქვრივობას მისტირის... — გაეღიმა მაკოს.

მაკოს პასუხი გულზე მოხვდა ქუქუნას. არც აცია, არც აცხელა და მაშინვე გესლიანად გადაუკრა:

— შე დალოცვილო, ერთი დღის საქმ-



მხატვარი ლია სვანიძე

როს მისტირი, აგერ სამი წელია და, მე ჩემი შვილის მამას თუ დავსტირი, რად გიკვირს ვითომ?

მაღაზიაში მოგუდული სიცილი გაისმა.

მაკო გაშრა. მირიანისა მოერიდა, — კრინტი აღარ დაუძრავს, არ გაპასუხებია, თავის წილ პურს ხელი წამოავლო, ნაჭრის ჩანთაში ჩააგდო და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა მაღაზიიდან.

მალე მირიანიც წამოეწია.

— აბა, რას ჰყვები იმ ენატარტალას, თითქოს არ იცოდე, რა თავდაუჭერელი ვინმეა. — უთხრა ვაჟმა.

ამან კიდევ უფრო გაახელა მაკო, მაგრამ მაინც იხტიბარგაუტეხავად უთხრა:

— არც გავბრაზებულვარ. მეჩქარებოდა. და იმიტომ წამოვედი:

მირიანი გაკვირვებით მიაჩერდა, მხრები აიწურა. მერე მორიდებით ჩაილაპარაკა:

— ის ბიჭი რომ არაფერსა გწერს, მეგონა, გეწყინა ქუქუნას ნათქვამი. შავი დღე დავაყენე, დარომაც მაგრად მოახსენა!

— ჯერ იმ ქვეყნიდან არავის მოსვლია წერილი. — უცებ მოუჭრა მაკომ.

ვაჟი გულმტკივნეულად მიაჩერდა, საყვედურით უთხრა:

— რა კრიჭაში მიდგეხარ, გოგო: რაც არ უნდა გითხრა, მაშინვე პასუხს ქვასავით მთხლიშავ ხოლმე. რომ არაფერი დამიშავებია? ასე რატომ...

მაკომ ნელა ახედა, თვალზე ცრემლი მოერია და დარდიანად ჩაქინდრა თავი. კარგა ხნის შემდეგ ამოღერღა გულის დარდი:

— ეჰ, ეტყობა, მეც დავიღალე... რაც ომი დაიწყო, ერთი დღე არ გამიხარია... განა ვწუწუნებ, ან თავს გაცოდებ, მართლა დავიღალე. არც ვიცი, მოვისვენებ კი ოდესმე? მეღირსება, უდარდელად გამითენდეს ერთი დღე მაინც? ალექსი სადღა მახსოვს ისე, ახლა უფრო ჩემი ძმის, — მიტოს დარდი მკლავს. მიხო-ფოსტალიონს საცა თვალს მოვკრავ, თუ თვითონ არ შემეხმაურება, მე რას გავბედავ მოვიკითხო. ამას კი გაძლება უნდა... არც ალექსისა ვიცი სად არის და რა ხდება მის თავს. იქნებ აღარც არის, თორემ, ერთ სიტყვას მაინც როგორ არ მომაწვდიდა?.. ჰოდა, ხომ ნახე, ბურთი როგორ ჩამჩარა პირში, გულის ჭრილობაში როგორ ამიფათურა ხელი, იმ უტიფარმა.

— მაშ, აღარ ელი იმას? — ძლივს გასაგონად თქვა მირიანმა.

მაკომ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ უნებურად გაუხსნა გული მირიანს. და, იმანაც დაუფარავად იკითხა, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა.

უცებ გაუქრა წეღანდელი მღელვარება. გონება გაეხსნა, სასწრაფოდ შეიმშრალა თვალები და ნაბიჯს აუჩქარა.

მირიანმა ინანა, ასე პირდაპირ რომ ჰკითხა ალექსიზე. მობოდიშება უნდოდა, მაგრამ ისევ დუმილი ამჯობინა. ჩქარი სიარული ძალიანაც უჭირდა, მაგრამ ამაზეც არაფერი თქვა. ჯოხის დახმარებით ფეხდაფეხ გვერდით მიჰყვებოდა აფორიაქებულ ქალიშვილს.

— პურზე ხომ გოგია და ანანო დადიან ხოლმე, დღეს შენ რატომ მოხვედი? — დაარღვია ბოლოს სიჩუმე მირიანმა, წამით შეჩერდა და მოქანცულმა გადაისვა გრუზა თმაზე ხელი.

— მაპატიე, მირიან... — სირცხვილმა დააცხრო მაკოს გაბრაზება, შეჩერდა და თანაგრძნობით მიაჩერდა ვაჟს. — მაპატიე, დამავიწყდა...

— სულ არ მიკვირს, — ხელი ჩაიქნია მირიანმა. — შენ კი არადა, ზოგჯერ მეც მავიწყდება, რომ ცალფეხა ვარ. ჯოხს სადღაც მივაგდებ ხოლმე. წამოვიჭრები სკამიდან, გავივლი ერთ-ორ ნაბიჯს და... ეჰ, რას იზამ, ამასაც დრო სჭირდება, დრო ყველაფრის მკურნალია... შევეჩვევი... ჰო, სად არიან ბავშვები?

მაკომ პასუხი დააყოვნა. გაუკვირდა და გაუხარდა კიდეც, რომ მირიანმა დასძლია ის მძიმე ფიქრები, ასე რომ აწამებდა ნუშიანში ჩამოსვლის პირველ დღეებში.

— ნავთის რიგში დგანან, სამივენი. ბესიკიც... ბევრი გვეხარჯება. შეშას ვუფრთხილდებით, უფრო ნავთქურას ვხმარობთ.

— თალიას ამბავისა რა ისმის?

— ჯერ არაფერი სასიკეთო.

— გავიგე, ნინოსთან ჩასახლებულან ის უკრაინელები — კაპიტანი და მისი ცოლი. კარგია, ხმის გამცემი მაინც ეყოლება საწყალ ნინო ძალოს, ძალიან კარგია. რას იტყვი?

მაკომ თავი დაუქნია.

— მე კიდევ ის მინდოდა მეთქვა, რომ... — მირიანმა საფეთქელზე მიიდო თითი და გაჩუმდა.

— რა იყო, მირიან, ცუდად ხომ არა ხარ? — შეწუხდა მაკო.

— არა, არა, ეს ისე... დამავიწყდა, რაღაც უნდა მეთქვა და დამავიწყდა. ასე მომდის, როცა ვღელავ.

— როცა ღელავ? — მაკომ ყრუდ გაიმეორა მირიანის ნათქვამი და ფარულად გახედა გვერდიდან. გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა. მას შემდეგ, რაც ალექსი გაისტუმრა ფრონტზე, პირველად იყო, რომ მამაკაცს მიაშტერა თვალი.

ფიქრმა რამდენიმე წლით უკან გააბრუნა...

მირიანის კლასის გამოსაშვები საღამო გაახსენდა. სკოლაში მამამ წაიყვანა მაშინ მაკო და, საგანგებოდ ამ დღისათვის ისე მოხდა, რომ ახალი კაბა შეუკერა დედამ — თეთრი მარკიზეტის კაბა, ცისფერი კოპლებით მიმობნეული.

საზეიმო ნაწილი რომ დამთავრდა, დარბაზში უცებ გასწი-გამოსწიეს ბავშვებმა სკამები. შუა დარბაზში ცეკვა-თამაში გაიმართა.

გარმონი გაიწელა, დოლს შემოჰკრეს, ახმიანდა ხმაშეწყობილი ტაში. შუა წრეში მირიანი გამოვიდა და მოხდენილად ჩამოუარა „ქართული“, მერე მიუახლოვდა მაკოს და თავი დაუკრა — საცეკვაოდ გამოიწვია.

მაკო აიწურა, თავი ჩაღუნა, არც განძრეულა ადგილიდან. ის იყო მეშვიდე კლასში გადავიდა. მირიანის გამოწვევა დარცხვენილმა გოგონამ რაღაც არაჩვეულებრივ ამბავად მიიჩნია, მით უფრო რომ, ეცოდა, გოგოებს თვალი რჩებოდათ ამ ბიჭზე.

— აბა, მაკუნა, გადი, შვილო, აბა, შენებურად... — წაახალისა მამამ. — მირიანია, რა მოგივიდა, გოგო? — იცინოდა გიორგი.

მირიანმა მეორედ ჩამოუარა წრეს, ისევ მაკოს წინ დადგა და თავი დაუკრა.

მაკომ ფეხი არ მოიცვალა.

— სხვა გამოიწვიე, სხვა, ალბათ, ცეკვა არ იცის! — იყვირეს ბავშვებმა.

— სხვა გამოიწვიე... — ახმიანდნენ აქეთიქიდან.

„ი როგორ თუ არ ვიცი ცეკვა?“ — გული მოუვიდა მაკოს, ხელი ლამაზად გაშალა და გედივით გასრიალდა მოპრიალებულ იატაკზე.

იმ დღეებში, ნაცნობები რომ შეხვდებოდნენ დედამისს, სულ მაკოს ცეკვას ჰკვირობდნენ:

— სად ისწავლა ასეთი კარგი ცეკვა ამ შენმა გოგომ?

— ჩემმა დამ ასწავლა. თვითონაც მოინდომა, ეტყობა. მე კი არ მინახავს და, გიორგიმაც თქვა, კარგად იცეკვესო... — უხაროდა შვილის წარმატება სალომეს.

მაკოსაც ძალიან მოჰქონდა თავი, რომ სკოლადამთავრებულმა ჭაბუკმა იმდენ ქალიშვილებში უპირატესობა სწორედ მას მისცა — მეშვიდე კლასში ახლადგადასულ გოგოს. მამამისის თქმისა არ იყოს, მასაც ეგონა: ესოდენ დიდი პატივი, ალბათ, როგორც დირექტორის შვილს, ისე დამდესო.

„ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ მირიანს ბალღობიდანვე მოუქცევია ჩემთვის ყურადღება? ვინ იფიქრებდა? — მაკოს ეშმაკურად გაეღიმა, მირიანს ნიშნის მოგებით გახედა და, ახლაღა შეამჩნია, საფეთქლებთან ვერცხლისფერი შეჰპარვოდა. — რა დროს ამის ჭაღარაა? საბრალო!“ — გული დაეწვა გოგოს, ტუჩები მაგრად მოკუმა და უხმოდ განაგრძო გზა.

— აი, თქვენი სახლიც... — თქვა მირიანმა.

— შემოდი, გვეწვიე ვახშამზე. მწვანე ლობიო მაქვს, ქორფა მწვანილი...

— დაღლილი ხარ, რაღა ჩემი სტუმრობა გინდა. სხვა დროს გეწვევით. ბავშვები მომიკითხე.

მაკო პატიჟზე უარის თქმას არ ელოდა, იწყინა.

— დალხინებული და უდარდელი ნეტავი ვინ არის, ახლა...

— ჰაი, ჰაი, რომ არიან. ყველას ყურადღება ფრონტისკენაა, ზოგიერთები ამით სარგებლობენ და კიდევაც მოითბეს ხელი. მაგრამ არ შერჩებათ. მოვიგებთ ომს და პარტია ყველას მიუზღავს საზღაურს...

— ვინ გყავს მხედველობაში? — დაიძაბა მაკო.

— ამაზე სხვა დროს. წადი ახლა, ივახშმე, დაისვენე.. — კეთილი თვალებით გაუღიმა მირიანმა, ხელი დაუქნია და თავის სახლისკენ გამობრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხულის წვიმა



თივის ალება



შირაქის პური

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „შაჰ-ნამეს“ ახალი თარგმანი

ვახუშტი კოტეტიშვილი

დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის უკვდავ პოემას, რომელსაც „შაჰ-ნამეს“ ანუ „მეფეთა წიგნის“ სახელით ვიცნობთ, ძველთაგანვე მიუპყრია ჩვენს წინაპართა ყურადღება. ჯერ კიდევ XII საუკუნეში არსებულა ცალკეულ ეპიზოდთა თარგმანები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია მოგვიანებით, ქართული მწერლობის ე. წ. აღორძინების ხანაში, განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ამ დიდებული ეპიკური ძეგლის მიმართ, სხვადასხვა მოღვაწეებმა თარგმნეს საკმაოდ დიდი ნაწილი ამ გრანდიოზული ეპოპეისა, შეიქმნა „შაჰ-ნამეს“ პოეტური და პროზაული ვერსიების მთელი სერია, რომელთა მნიშვნელობა როგორც ქართული, ასევე სპარსული ლიტერატურის ისტორიისათვის უაღრესად დიდია

„შაჰ-ნამეს“ ცალკეული ეპიზოდები ქართულ ენაზე ითარგმნა უახლოეს დროშიც, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესი ამ ლიტერატურული ძეგლის მიმართ არ დამცხრალა.

უნდა აღინიშნოს, რომ „შაჰ-ნამეს“ ქართველ მთარგმნელთა შორის არასოდეს გამორეულა ქალი—პოეტი. რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? საქართველო ხომ ძველთაგანვე ცნობილი იყო მუზებთან ზიარებული მანდილოსნებით. იქნებ „მეფეთა წიგნის“ ჰეროიკული სული არ შეეფერებოდა ქალის ნაზსა და სათუთ ბუნებას? მაგრამ, ქართული პოეტური ფოლკლორიდან კარგად ვიცით, რომ საგმირო პოეზიას (ხევსურული, ფშაური, თუშური და სხვ). უმთავრესად, ქალები ქმნიდნენ. შესაძლოა, ქართველი ქალი სხვათა ნათქვამის გარდათქმას ისევ საკუთარი გულისნადების ამოთქმას ამჯობინებდა. აკი უთქვამს კიდეც ფშაველ დედაკაცს: „განა ლალი ვარ, რომ ვმღერი, გულისა დარდსა ვიქარვიო“.

ასეა თუ ისე, მიზეზი ამჟერად ძნელი დასადგენია. ის კი ნამდვილია, რომ დღევანდლამდე ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართველი პოეტი ქალის ხელი არ შეჰხებია.

და აი, ჩვენს ხელთ არის „ნაკადულის“ მიერ ცალკე წიგნად გამოცემული ერთი ეპიზოდი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი წიგნი „შაჰ-ნამესი“ „მანუჩეჰრი“. იგი სპარსულიდან თარგმნა ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ბელა შალვაშვილმა, რომლის ლექსებსაც უკვე იცნობს ქართველი მკითხველი.

ერთი შეხედვით, თითქოს მოულოდნელი იყო, რომ ამ სათუთი ლირიკული ლექსების ავტორი, ეს ტანმორჩილი, ნაზი გოგონა ჯიქურ შეალებდა „შაჰ-ნამეს“ უზარმაზარი სამყაროს თაღმაღალ ბჭეს და როსტომისებური შემართებით იტვირთავდა ამ ეპოსის თარგმნას. ბარაქალა მის ქალობას! მაგრამ გაბედვასაც გააჩნია! იმედგაუმართლებელ გამბედაობას არასახარბიელო სახელითაც ნათლავენ ხოლმე. ვაჟკაცობა ის არის—გაბედო და ნაყოფიც მოიმკო: სწორედ იმედის გამართლებაა ჩვენი პოეტი ქალის ეს თარგმანი ვისაც სპარსული ანა-ბანა უსწავლია, ვისაც თუნდ ერთხელ ჩაუხედავს ფირდოუსის პოემის სპარსულ ტექსტში, ვისაც თვალები ამოჰლამებია მისი ჩამძივებული ბეითების კითხვისას, ის ადვილად გამიგებს, თუ რაოდენ დიდი სირთულე იმალება ამ გენიალური პოეტის თითქოსდა გარეგნული სისადავის მიღმა. განსაკუთრებულია ფირდოუსის ენა, თხრობის მანერა, ხატოვანი აზროვნება, ბატალური სცენების დინამიკა, თუ ლირიკული წიაღსვლების ფილოსოფიური სიღრმე. ყოველსავე ამას ჩაწვდომა უნდა მაგრამ ჩასაწვდომად მხოლოდ სურვილი და გულისყური არ კმარა. ჭეშმარიტი პოეტური ნიჭია საჭირო, რომ ამ სიღრმეებს ჩასწვდე, გადმოაქართულო, შენც გაიცადო და სხვასაც განაცდევინო სიდიადე ძეგლისა, რომლის პირისპირ ფუჭად დაშვრნენ საუკუნეთა ქარნი ხორშაკნი.

აქ ერთმანეთშია შერწყმული მითი და ლეგენდა, ისტორიული სინამდვილე და პოეტური ფანტაზია ყოველივე ამის ხილვაა საჭირო, რათა შესძლო სხვა ენაზე მისი ელფერისა და სურნელის გადმოტანა.

სასიხარულოა, რომ ბელა შალვაშვილმა დასძლია ეს დიდი დაბრკოლებანი, მის თარგმანში იგრძნობა ფირდოუსის დარბაისლური თხრობის მდინარება, რთულ პოეტურ ხატთა სისადავე, ზომიერი ჰიპერბოლიზმი და სიბრძნით დაოკებული მგზნებარება.

მთარგმნელისათვის ეს უკვე ჭეშმარიტი გამარჯვებაა

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ბელა შალვაშვილმა ამ რამდენიმე წლის წინ დაამთავრა ჩვენი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანული ფილოლოგიის განხრით. აქ დაეუფლა იგი კლასიკურ სპარსულ ენას, აქ იგემა პირველად მისი „შარბათი“ მე მინდა მისი ყოფილი მასწავლებლებისა და უფროსი კოლეგების სახელით მივულოცო ბელას ეს გამარჯვება და გამოვთქვა იმედი, რომ იგი თავისი ლექსების გვერდით, სპარსული პოეზიის ნიმუშთა თარგმანებითაც მრავალ გზის გაახარებს ქართველ მკითხველს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წარმტაცი პალიტრა



თანამედროვე პეიზაჟი

გოგონა თავიდანვე გატაცებული იყო ქართული ხელოვნებით, გრაფიკით, ფერწერით, ქართული ხელსაქმის უნიკალური ქმნილებებით დადიოდა მუზეუმებში, ჰქმნიდა კომპოზიციებს, აკეთებდა ეტიუდებს. 1940 წელს კი წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის სამხატვრო აკადემიაში და გრაფიკის განყოფილებაში ჩაირიცხა. აკადემიის დამთავრებისას ეთერ ანდრონიკაშვილს უკვე კარგად იცნობდნენ, როგორც წარმტაცი გრაფიკული ფურცლების, კომპოზიციებისა და სურათების ავტორს. აკადემიაშივე დატოვეს ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ ქსოვილების მხატვრულად გაფორმების კათედრის უფროს მასწავლებლად. 1965 წელს ეთერ ანდრონიკაშვილს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის წოდება მიეკუთვნა, 1974 წელს კი სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დოცენტის წოდება მიანიჭა.

ეთერ ანდრონიკაშვილი, ერუდირებული ხელოვანი, თავდადებული მეუღლე და მშვენიერი დედა! — ასე იცნობენ ყველგან. 1940 წელს იგი ცოლად გაჰყვა ქართული ფერწერის დიდოსტატს, აწ განსვენებულ დავით კაკაბაძეს და დღემდე მისი მრწამსის და ტალანტის თაყვანისმცემელია.

ქალბატონი ეთერი კომპოზიციის სწავლების საქმეში სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი თვალსაჩინო პედაგოგია, ამასთან, ამავე აკადემიის ქსოვილებისა და მსუბუქი მრეწველობის მხატვრული გაფორმებისა და მოდელირების კათედრის გამგის მოადგილეა. მისი კლასით დაცული სადიპლომო შრომები ყოველთვის გამოირჩევა კომპოზიციური მხატვრული ღირსებებით, შესრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების არტისტულობით და თემის ჩაირსახეობით. ამიტომ, სახელმწიფო-საკვალიფიკაციო კომისია ყოველთვის კარგ შეფასებას აძლევს ამ ნამუშევრებს. და, საერთოდ, მისი კლასის სადიპლომო შრომებს ყოველთვის დიდი მოწონება ხვდება წილად რესპუბლიკურსა თუ საკავშირო გამოფენებზეც ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ეთერ ანდრონიკაშვილი გამოცდილი, ნიჭიერი პედაგოგია.

ეთერი მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო თუ მსოფლიო გამოფენის მონაწილეა. ფართოა მისი საგამოფენო ნამუშევრების ჟანრი და თემატიკა როგორც გრაფიკის, ისე გამოყენებითი ხელოვნების დარგში. იგი ფიჩვების, გობელენების, ლურჯი სუფრების და ბატიკის ნაწარმის საუცხოო ოსტატია. მისი შექმნილი დეკორაციული ქსოვილები, პანო „სვანეთი“, მარინე იაშვილის პორტრეტი, ზესტაფონის ინდუსტრიული პეიზაჟი, კომუნისტური შრომის ბრიგადების ჯგუფური კომპოზიციის ფურცლები, ტყიბულის პეიზაჟი დიდი მხატვრული ღირსების მქონე ნაწარმოებებია.

შთამაგონებელია მისი ფერადი ავტოლითოგრაფიული ნაწარმოებები „მთვარიანი ღამე“, „გაზაფხულის წვიმა“, „მცხეთა“ „ჯვარი“; მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა ეთერმა ჩვენს კოლმეურნეობებს, ინდუსტრიულ პეიზაჟს, მთვარით განათებულ წყალვარდნილებს, კაშკაშა მზით გამუქებულ ვენახებს მის ფერად ლითოგრაფიებს („სამგორი“, „სიმინდის ყანები“, „შირაქის პური“, თამბაქოს გაშრობა“, „ხვნა“ და სხვ.) საყოველთაო აღიარება ხვდა

ხატოვნებით, ძაფის ფერთა პალიტრის სიმფონიით მიმზიდველი და წარმტაცია გობელენები: „ალორძინებული ფოთის ნავსადგურის ხედი“, „თბილისის ზღვა“, „პაემანი“, „სოფელ მაიაკოვსკის ხედები“ ასევე ყველას მოსწონს ავტოლითოგრაფიული კომპოზიციები: „ძველი და ახალი თბილისი“, სოციალისტური შრომის გმირების პორტრეტთა მთელი სერია

კოლორიტით, ფერთა ელერადობით, ნიუანსირებით, პოეტური შესრულებით გამოირჩევა პეიზაჟები: „ციხისძირი“, „ჭიათურა“, „ზამთრის საძოვრებზე“, „იმერეთი“, „სოფელი შრომა“, „ინდუსტრიული ქუთაისი“, „კახეთის პეიზაჟი“, „მზის ჩასვლა“, „ვარაზისხევი“ და სხვ.

მომხიბვლელია ე. ანდრონიკაშვილის მიერ დასურათებული ქართული ზღაპრების კრებულიც. აქ ავტორი ოსტატურად იყენებს ორიგინალურსა და ხატოვან კომპოზიციებს, ნათლად გადმოგვცემს ზღაპრის სიუჟეტს, რიტუალებსა და პერსონაჟებს, და ეს კომპოზიციები გვხიბლავს გემოვნებით შერჩეული კოლორიტითა და არტისტულობით. ჩვენ სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ: ეთერ ანდრონიკაშვილი გამოყენებითი ხელოვნების დიდოსტატია, საუკეთესო მოქალაქე და აღმზრდელია!

სიმონ ნაციაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამ.



კიცხი



რუსთავის პეიზაჟი

## რეპორტაჟი ტყვირიდან

# სოფელი ხალხით არის ძლიერი

სოფელი ტყვირი უცნაურად გავიცანი, სანამ სოფელში შევიდოდი, გზად შიძავალმა სახელოვანი ქალის, სოციალისტური შრომის გმირის, ელპიტე არველაძის დამსახურების ამბავი მოვისმინე.

სამამულო ომი რომ დაიწყო, ელპიტე არველაძე 27 წლის ახალგაზრდა ქალი იყო. მის ნაზ ქალურ ხელებს ადვილად როდი ემორჩილებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ოჯახს რჩენა, ბავშვებს კი გაზრდა უნდოდა, და ელპიტეც მთელი დღე კოლმეურნეობის ველ-მინდვრებში ტრიალებდა. მუყაითმა ახალგაზრდა ქალმა მალე მიიპყრო სოფლისა და რაიონის ყურადღება და ჯერ კიდევ ომის დროს, 1944 წელს მედლით დააჯილდოვეს „შრომითი მამაცობისათვის“. პირველმა ჯილდომ გაახალისა, ძალა შემატა. 1945 წელს, როდესაც ომმა უკვე გადაიქუხა და ვაჟკაცები მამულს დაუბრუნდნენ, თითქოს უნდა შემსუბუქებოდა ელპიტეს შრომითი ხვედრი, მაგრამ სოფელ ტყვირის მოსახლეობამ იგი მემინდვრეობის ბრიგადირად აირჩია. ზოგს შეიძლება ეჭვიც ეპარებოდა, ქალია, ბრიგადირობა გაუჭირდებაო, მაგრამ მონდომებამ, უნარმა და პასუხისმგებლობის გრძნობამ თავისი გაიტანა — ელპიტეს ბრიგადამ 1947 წელს 30 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 71 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ამ სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის ელპიტე არველაძეს სოციალისტური შრომის გმირობა მიანიჭეს, ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვეს. ელპიტე იყო პირველი შრომის გმირი აბაშის რაიონში. იგი არ დაკმაყოფილდა მიღწეულით და მთავრობის ამ დიდ ჯილდოს მეტი პატრიოტული შემართებით უპასუხა. მომდევნო, 1948 წელს 50 ჰექტარის თითოეულ ჰექტარზე 73 ცენტნერი სიმინდი მიიღო, რისთვისაც ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ელპიტე შვიდჯერ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მუშაობდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ტყვირის სასათბურო მეურნეობის სანერგის გამგედ. შემდეგ მან შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენი და შრომის ვეტერანის მედალი მიიღო.

დღეს ელპიტე არველაძე სარაიონთაშორისო ჯიშიანი ხბორების ფერმის გამგეა.

ტყვირი ლამაზი სოფელია. იგი მთლიანად მწვანეშია ჩაფლული. გხიბლავთ დასუფთავებული ეზო-კარმიდამო, დამუშავებული ველ-მინდორი, სოფელში კაცის ჭაჭანება არ არის. ყველა სამუშაოდ არის გასული. მათ ხომ პირნათლად უნდა შეასრულონ დანაპირები, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებს გაანდეს თავიანთ მიმართვაში.

კანტორაში მივედით, თავმჯდომარე ვიკითხეთ. პატივცემულ გიორგის ახლა აქ რა გააჩერებსო, — გვიპასუხეს, — იგი ან მინდორში იქნება ან ფერმაშიო. ფერმისკენ გავემართეთ და სწორედ გზაზე შემოგვხვდნენ თავმჯდომარე და პარტიული კომიტეტის მდივანი. ისინი სატრაქტორო სადგურიდან მოდიოდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი თოფურია შორიდან მოგვესალმა. როცა გაგვეცნო პარტიული კომიტეტის მდივანი ჭიჭიკო ჯამშურია წარმოგვიდგინა: გაიცანით, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი, ჩვენი რაიონის ერთ-ერთი მოწინავე მესიმინდე, რომლის ცოდნასა და გამოცდილებაზე სხვა მესიმინდეებიც იზრდებიანო.

ჭიჭიკომ მოსწავლესავით ჩაღუნა თავი და ჩუმად, ოდნავ გასაგონი ხმით, თითქოს თავისთავს ესაუბრებაო, თქვა:

— სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანა, რომ სიბეჯითე და გარჯა სჭირდება, ეს არცერთი მესიმინდისათვის არ არის საიდუმლოება. სიმინდს დედოფალივით ყურადღება და მზრუნველობა უყვარს. და აკი ამიტომაც მას მინდვრის დედოფალს ეძახიან. სოფელში ახლა ბევრია სახელოვანი მესიმინდე, რომელთა მაგალითზე თაობები იზრდებიან, რომელთა ხმაც ძალუმად ისმის ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა საერთო მიმართვაში. აი ისინი, სოციალისტური შრომის გმირები: ელპიტე არველაძე და იოსებ გვალია, ლენინის ორდენოსანი ალექსანდრე ქვილითაია, მოწინავე მესიმინდეები: ფეოდორა ბართელი, ილია, ვიტალი, ბარდლა, ლავრენტი მიგინეიშვილები, ომარ ქემოკლიძე, გივი პიტავა, აკაკი თედორაძე, ნიკოლოზ კაჭარავა, შოთა გალდავა, ზინობი ჟორდანია, ჟორჟი ფიფია, ნათელა ცომაია და სხვები. ისინი დისციპლინით და თავდადებული შრომით პირველ ადგილს არავის უთმობენ, სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 55 ცენტნერამდე გაზარდეს და შარშან 570 ტონის ნაცვლად 1231 ტონა მარცვლეული აიღეს. ეს ორჯერ და უფრო მეტად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

— როგორც მოგახსენეთ, ჩვენი პარტკომი მესიმინდეა და ყურადღებას სიმინდზე








ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხვილებს, — ჩაერთო საუბარში თავმჯდომარე, — განა ნაკლები დამსახურება მიუძღვით ჩვენს საერთო წარმატებებში სხვა დარგის მუშაკებს, თუნდაც ჩვენს სახელოვან მებოსტნეებს — კარლო გრიგოლიას, ვიქტორ დუნდუას, კვიროსი ტიკაძეს, თამარ ტიკაძეს, რომან დუნდუას, ლეილა ლაბარტყავას, შუშანა ნიკოლეიშვილს, იზა ჯანელიძეს, ჟუჟუნა კუჭუხიძეს, ინეზა ტალიკაძეს, რომელთაც არცერთი სამუშაო საათი არ გაუცდენიათ. მათ 1975 წლის ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა ერთიორად და მეტად გაანაღდეს — 1295 ცენტნერის ნაცვლად 2296 ცენტნერი ჩააბარეს. ეთერზეთების კულტურების უხვი მოსავალი მოგვცეს სოციალისტური შრომის გმირმა მიტროფანე ძიძიგურმა, ვასილ ხარებავამ, აქვსენტი მიგინეიშვილმა, შოთა გალდავამ, ლოლა გალდავამ, ნოდარ ლაფერაშვილმა, ვახტანგ გვალიამ, ზურიკო გვალიამ, ზაური მიგინეიშვილმა. თითოეულმა მათგანმა ორმაგად გადააჭარბა გეგმას. პარტიამ და მთავრობამ დიდი შეფასება მისცეს ჩვენი კოლმეურნეობის ასეთ წარმატებებს და 1975 წლის საუკეთესო სამეურნეო შედეგებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვებისათვის იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს.

ამ საპატიო ჯილდომ კიდევ უფრო აღაფრთოვანა ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. ყველგან შრომითი შემართება იგრძნობა. ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადამ ბრიგადა გამოიწვია, კოლმეურნემ — კოლმეურნე. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ ვალდებულებებს სასახელოდ შეასრულებენ.

სოფელში სიახლეები შევნიშნეთ — რამდენიმე ახალი საცხოვრებელი სახლი შენდებოდა. ეს კოლმეურნე გლეხების მატერიალური დონის ამაღლებაზე მეტყველებს. სოფელი აღარ განიცდის მიგრაციას, პირიქით, ისინი, რომლებიც სოფლიდან წასვლას ლამობდნენ, მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ და იბრძვიან კოლმეურნეობის, სოფლის წარმატებებისათვის, დიდ ინტერესს იჩენენ საერთო-სახალხო საქმისადმი. შვილები მშობლების კვალს მიჰყვებიან, მათზე უკეთეს მაჩვენებლებსაც აღწევენ როგორც მინდვრებში, ისე ფერმებში. ამის ბრწყინვალე მაგალითებს თუნდაც ახლადშექმნილ ჯიშიან სახბორეში შეხვდებით, რომელსაც ცნობილი მესიმინდე, აგროტექნიკოსი ელპიტე არველაძე ხელმძღვანელობს. ამ ფერმაში ძირითადად ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდები მუშაობენ, რომლებიც სკოლის მერხიდან მოვიდნენ: ხარგიზა ჯანელიძემ სოფელ მარნის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დედასთან — ცნობილ მწველავ ქენია ჯანელიძესთან დაიწყო მუშაობა და როგორც კი ახალი სახბორე გაიხსნა, იმ დღიდან აქ გადმოვიდა. რუსუდან ფიფია საშუალო განათლების მიღებისთანავე მხარში ამოუდგა თავის ძმობილებს ბაღ-ბოსტანში, შემდეგ კი სურვილი გამოთქვა ახალ ფერმაში გადმოსულიყო. ელისო ცომაიამ თავი ისახელა მუყაითობით, რისთვისაც კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს და რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მექანიზატორი მერაბ ოთხოზორია, ფერმის ბრიგადირი ომარ დამენია, ახალგაზრდა ზოოტექნიკოსი გიორგი ქინქლაძე და სხვები ჩვენს ახალგაზრდებს გულმოდგინე შრომის მაგალითს აძლევენ.

ფერმის წინ საშუალო ტანის, ცისფერთვალება ქალი ღიმილით შემოგვეხვდა.

— გაიცანით, ელპიტე არველაძე, ჩვენი რაიონის შრომითი შემართების პირველი მერცხალი, — გვითხრა თავმჯდომარემ.

— რას ბრძანებთ, ბატონო, რაღა დროს ჩემი მერცხლობაა, ოთხი შვილის დედა და თორმეტი შვილიშვილის ბებია გახლავართ. მერცხლები ახლა აი ეს ჩემი გოგონები არიან, რომლებიც ჭიქჭიქით მახარებენ, შრომას მიადვილებენ. მე, როგორც აგროტექნიკოსს, გული ყოველთვის მინდვრისკენ მიმიწევს, მაგრამ ამათ გულმოდგინებას რომ ვხედავ, სულაც არ ვნანობ, რომ ფერმაში გადმოვედი. ჩვენი ფერმა ერთ-ერთი თანამედროვე, მექანიზებული ფერმაა, სადაც სამუშაოთა უმრავლესობა მანქანებით სრულდება. ჩვენ კიდევ ჩვენი მხრივ ენერგიას არ ვზოგავთ. აბა, შეხედეთ, რა მშვენიერი ხბოები გვყავს. ეს ლატვიური წაბლაა! ეს, კავკასიური წაბლა! ეს ველის წითელი! ისინი სარძევე ჯიშებს ეკუთვნიან, შავჭრელი კი სახორცე ჯიშია. ჩვენი გოგონები 45-50 ხბოს უვლიან და შრომითი ანაზღაურებაც დიდი აქვთ. თითოეული მათგანი თვეში 170 მანეთს იღებს. საძღურავი არ გვეთქმის, პარტია და მთავრობა მზრუნველობას არ გვაკლებენ და ჩვენს შრომასაც სათანადოდ აფასებენ.

ალბათ მოგეხსენებათ, რომ აბაშის რაიონი 1975 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და გარდამავალი დროშით დააჯილდოვეს. ეს დროშა რაიონმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა. ამ გამარჯვებაში ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის წვლილიც არის. სოფელი აღორძინებას იწყებს, ბევრი რამ გასაკეთებელია. მეტი ყურადღება მიექცევა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას, საკოლმეურნეო კარმიდამოს კეთილმოწყობას, შეიქმნება სათანადო პირობები ნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენებისათვის.

ი. ტატიშვილი

## ჩვენ გვწერენ

# მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალის რაიონის სოფელ ბერულის საშუალო სკოლაში უანგარო შრომით გამოირჩევა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლია ჯინჯიხაშვილი.

ლია ჯინჯიხაშვილი ეროვნებით ებრაელია, აღიზარდა ცხინვალში, მიიღო უმაღლესი განათლება და აგერ, 25 წელია პედაგოგად მუშაობს. იგი ისე შეეჩვია სოფელს და მის ხალხს, რომ ბერულის მშრომელები თავიანთ მკვიდრად თვლიან.

მის პედაგოგიურ თვისებებზე ბევრ რამეს გვეტყვიან მოსწავლეთა მშობლები, მოსწავლეები.

ლია ჯინჯიხაშვილმა შრომისმოყვარეობით მიაღწია იმას, რომ მის მოსწავლეებს კარგი აკადემიური მაჩვენებლები აქვთ. განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს ქართული ენა და ლიტერატურა, და ამიტომაც საყვარელი პედაგოგის საგანში ყოველთვის 100 პროცენტიანი წარმატება აქვთ.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მასწავლებელი ქართული ენისა და ლიტერატურის წრის წევრებთან არის, უღრმავებს ცოდნას, უვითარებს კვლევის უნარს.

ლია ჯინჯიხაშვილი სასკოლათაშორისო მეთოდურ გაერთიანებას ხელმძღვანელობს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მოწინავე პედაგოგი ახალგაზრდა მასწავლებლებს სისტემატურად უზიარებს მდიდარ გამოცდილებას, აცნობს პედაგოგიურ მეთოდებსა და ხერხებს, ყოველდღიურად იმაღლებს თავის იდეურ-თეორიულ თუ პედაგოგიურ ცოდნას, ყურადღებით ეცნობა ყოველ ახალ მეთოდურ სახელმძღვანელოს თუ ნაშრომს.

განსაკუთრებით აქტიურად აბამს მასწავლებელი თავის მოწაფეებს კლასგარეშე საქმიანობაში, აყვარებს საკოლმეურნეო შრომას, უღვიძებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის სურვილს. მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები დიდი რაოდენობით აგროვებენ ასკილს, კენკრას და აბარებენ სახელმწიფოს. ბერულის საშუალო სკოლამ შარშან 300 კილოგრამზე მეტი ასკილი ჩააბარა ცხინვალის აფთიაქს, წლეულს კი განზრახული აქვთ 1500 კილოგრამამდე ასკილის ჩაბარება.

ყოველ წელს ლ. ჯინჯიხაშვილის სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები ეხმარებიან ეროვნული მეურნეობის მოსავლის აღებაში, ნათესების დამუშავებაში, პირუტყვის მოვლაში. შარშან ზაფხულში ბერულის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ერთკვირის საბჭოთა მეურნეობაში 5000 მანეთზე მეტი გამოიმუშავეს.

ხ. ცოტნიაშვილი

## მომავალი ქართველოლოგები

„ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობებითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმგვარს ღრმას და დაუსრულებელ დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის".

ი. გოგებაშვილი

# ქართული ენის გულით...

ანდაზა ამბობს: რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო...

დედაენა საძირკველია, ლიბოა. თუ მას სხვა ენას დააშენებ, უფრო თვალბასრი და ყურმახვილი გახდები, განუზომლად გაგიფართოვდება გონების ჰორიზონტი (ი. გოგებაშვილის აზრი).

ახლა, როცა მეცნიერულმა კონტაქტებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია, ქართული ენის სტრუქტურით, ქართული ხელოვნებითა და კულტურით, ჩვენი ერის ისტორიითა და ლიტერატურით დაინტერესებულ უცხოელთა რიცხვი წლითიწლობით იზრდება. ბევრი მათგანი უშუალოდ ქართულს ეუფლება. უახლოეს დროში 11 საზღვარგარეთელი სწავლული, ასპირანტი და სტუდენტი იყო ჩამოსული ამ მიზნით. მათ უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა ხელმძღვანელობს (გამგე აკად. შ. ძიძიგური). მრავალ უცხოელს ჩინებულად შეასწავლეს ქართული ამ კათედრის წევრებმა: ელენე ბაბუნაშვილმა, ნია აბესაძემ, შუქია აფრიდონიძემ, დამანა მელიქიშვილმა, ბესიკ ჯორბენაძემ, ელენე კოშორიძემ, ვახტანგ იმნაიშვილმა, ლეილა გეგუჩაძემ, ინეზა კიკნაძემ.

ჩვენი სტუმრები უმეტესად „დედა ენით" იწყებენ მეცადინეობას. ამჯერად ზოგიერთ მათგანზე ვისაუბრებთ...

* * *

ქორწილია...

ნეფემ ვაჟკაცურად დაამსხვრია თეფში კარის ზღურბლთან (ქალიშვილებმა ნამსხვრევები მალულად აკრიფეს, ღამით საბედო დაესიზმრებათ!).

მრავალჟამიერი აგუგუნდა...

მერე ქართული სადღეგრძელოებიც ითქვა: მშვიდობის, სიმრავლის, ტანმრთელობის, ტკბილად შებერების, ოჯახის, სიყვარულის, ძმობის, მზისა და მწვანე ბალახის... არც აშენება-დამშვენება და ყველაწმინდა დავიწყებია თამადას.

სუფრას კი უსხდნენ: გერმანელი, ჩეხი, ჩერქეზი, ქართველი, კანადელი, ოსი, პერუელი ახალგაზრდები; ინგლისელი — ნეფე, აფხაზი — დედოფალი.

ერთმა თანამესუფრემ რატომღაც „არსენა მარაბდელი" ჰოიგონა. გახსოვთ, არსენამ დეიდაშვილს ქართულად მისწერა ინგლისში, ჩამოდი და გვიწინამძღვრეო... და იქ ქართულის წამკითხველი რომ არავინ აღმოჩნდა, გული დასწყდა ოძელაშვილს, იმოდენა ქვეყანაში ერთი კაცი ჩვენებურად მოლაპარაკე როგორ არ მოინახაო.

ეს ქორწილი რამდენიმე თვის წინათ გაიმართა სტუდენტთა ქალაქის იმ კორპუსში, სადაც უცხოელი ასპირანტები ცხოვრობენ.

ჯორჯ ჰიუიტი აფხაზ ქალიშვილს ზაირა ხიბას თბილისში დაუახლოვდა. მომავალ ენათმეცნიერებს საერთო ენა ქართული აღმოაჩნდათ (მეგობრები ხუმრობენ, სიყვარულზე მხოლოდ ქართულად შეიძლება ლაპარაკიო, ჯორჯი კი ამბობს: ენებს ვეძებდი და მეუღლე ვიპოვეო).

ჯორჯ ჰიუიტი კემბრიჯის უნივერსიტეტიდან არის. იგი ჩეჩნურ, ადიღეურ, აფხაზურ და სვანურ ენებსაც სწავლობს. ქართულს კი იმდენად დაეუფლა, რომ ამ ენაზე დაბეჭდილ მეცნიერულ გამოკვლევებს დამოუკიდებლად ეცნობა; მომავალში ქართველური და კავკასიური ენების სინტაქსის შესახებ გამოკვლევის დაწერას ფიქრობს.

* * *

უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას სახელობის კაბინეტში, მორიგი სემინარია. ინგლისელი დონალდ რეიფილდი ქართულ ენაზე უკითხავს დამსწრეთ მოხსენებას „ვაჟა უცხოელის თვალით". იგი ბუნებაზე, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობაზე ლაპარაკობს, ვაჟას ქართულს განიხილავს: ფშაველი პოეტის პოეზიის მუსიკალობით, ლექსიკის სიმდიდრით არის მოხიბლული; ამ მწერლის თარგმნის სიძნელეს აღნიშნავს, მერე ლათინური ენის მოხუცი მასწავლებლის სიტყვებს იხსენებს: თარგმანის ერთადერთი მიზანი არის, რომ მკითხველმა გულგრილად მიაგდოს წიგნი და დაიწყოს დედნის სწავლა.

რა თქმა უნდა, ეს გადაჭარბებაა, მაგრამ სირთულეს კარგად გამოხატავს. დონალდ რეიფილდი ლონდონის უნივერსიტეტიდან არის. იგი რუსული ლიტერატურის სპეციალისტია, ჩეხოვზე დაწერილი მონოგრა-

ვიის. მანდელშტამის. სოლოგუბისა და პასტერნაკის შესახებ შექმნილი გამოკვლევების ავტორია (თარგმანებითურთ). როცა რუს სიმბოლისტებსა და საერთოდ 20-იანი წლების რუსულ ლიტერატურას სწავლობდა. ტიციანისა და პაოლოს გვარებს წააწყდა. დაინტერესდა. 1973 წელს პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ქართული ასოების მეტი არა იცოდა რა. სამ თვეში ისწავლა ქართული. თარგმნა ტიციან ტაბიძე. პაოლო იაშვილი. გიორგი ლეონიძე. იოსებ გრიშაშვილი. ირაკლი აბაშიძე. კოლაუ ნადირაძე და გალაკტიონი. მისი ბარათიდან: „ახლა ლონდონში გალაკტიონის ამინდია. სულ „ქარი ქრის“: კიდევ კარგი. ვაჟა არ მითარგმნია. თორემ ალბათ ზვავები ჩამოწვებოდა“.

ზოგი თარგმანი გამოაქვეყნა კიდეც ინგლისურ ჟურნალში. რომელსაც „თანამედროვე პოეზიის თარგმანი“ ეწოდება. დაბეჭდა სტატია გალაკტიონსა და ტიციანზე. ამჟამად ვაჟა-ფშაველას სამ პოემას თარგმნის.

* * *

ამერიკელები — ალისა ჰარისი და დიანა ჰოლისკი (ჰარვარდისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტები) ქართული ენის სტრუქტურით არიან დაინტერესებულნი. ალისას საკვალიფიკაციო ნაშრომის (რომელიც უკვე დაიცვა). სახელწოდებაა „სუბიექტი და ობიექტი ქართულ ენაში“, დიანა „საშუალო გვარის ზმნებს“ იკვლევს.

არც მათ იცოდნენ ენა ჩამოსვლისას. რვა თვის შემდეგ კი თავისუფლად ალაპარაკდნენ. ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში ქართულად წაიკითხეს მოხსენებები ენათმეცნიერების საკითხებზე. დიანა ქუთაისში გამართულ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და ასპირანტთა პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაში მონაწილეობდა.

გაისად ამერიკელი ქალიშვილები კვლავ ესტუმრებიან თბილისს.

რონალდ-გრეგორი სიუნი (ობერლინის უნივერსიტეტი. ოჰაიოს შტატი) ისტორიკოსია. გამოცემული აქვს წიგნი „ბაქოს კომუნა“. ამჟამად მუშაობს თემაზე: „საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები საქართველოში“.

ქართულს ეუფლებიან ჩეხი პაველ ჟიგო. ავსტრიელი ტილ როიტერი. ბულგარელი ვალენტინ ლაზაროვი (ეთნოგრაფია და ძეღვინეობის საკითხებზე მუშაობს). ამერიკელი ჯოანა ნიკოლსი. ფრანგი დანიელ ტრიუკი. ინგლისელი ელიზაბეტ ფულერი. უნგრელი მარგიტ ბირო (რამდენიმე ნაშრომის ავტორია. ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებს იკვლევს). აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

* * *

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებს ნია აბესაძესა და შუქია აფრიდონიძეს უცხოელებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. შუქიამ უკვე ორ ინგლისელს. ორ ამერიკელს. ერთ შვედსა და ოთხ უნგრელს შეასწავლა ქართული. ენის სწავლება სიძნელეებთან არის დაკავშირებული. უცხოელთაგან ზოგს წმინდა გრამატიკა აინტერესებს. ზოგს — სასაუბრო ენა. ზოგს — ჩვენი კულტურის სხვა მხარეები. მათი ცოდნის დონის შესაბამისად სხვადასხვა მეთოდიკის გამოყენებაა საჭირო. როცა სწავლებას ანბანით აწყებინებენ. ამ შემთხვევაში. უთუოდ „დედა ენას“ იშველიებენ.

ნია აბესაძე და შუქია აფრიდონიძე პწკარედებსაც აწვდიან მთარგმნელებს. ზოგჯერ „მოწაფე“ მეტისმეტად ნიჭიერი გამოდგება ხოლმე. დონალდ რეიფილდმა. — ამბობს ნია აბესაძე. — ისე მალე და კარგად ისწავლა ქართული. რომ პწკარედები თითქმის აღარც დასჭირვებია. სამაგიეროდ. ცოტათი გაძნელდა ელიზაბეტ ფულერთან მუშაობა. დროც მცირე გვქონდა და. თანაც ელიზაბეტს მარტო ქართულში კი არა. უკრაინულშიც უნდა დავხმარებოდი. რადგანაც უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებით იყო დაინტერესებული.

უცხოელებს ასევე თავდადებით ემსახურებიან ენის შესწავლაში ახალი ქართული ენის კათედრის სხვა წევრებიც.

წასულებს მიწერ-მოწერა აქვთ თავიანთ მასწავლებლებთან. რომლებიც მათ ქართულ წიგნებსაც აწვდიან.

* * *

ენათმეცნიერთათვის ნამდვილად სასარგებლოა კავკასიური სისტემის ენების შესწავლა. რომელთაც ბევრი თავისებურება ახასიათებთ. ამჟამად მათი ყურადღების ცენტრში ქართულისა და ბასკურის ნათესაობის საკითხებია. ამ პრობლემის შესწავლა ბევრ ისტორიულ მოვლენას მოჰფენს შუქს.

ვინც თარგმნის. ვინც ჩვენი კულტურით არის დაინტერესებული. ჩვენი ენა. ყოფა. ხელოვნება. ისტორია. ლიტერატურა. შეიძლება ითქვას. მათთვის ახალი სამყაროს აღმოჩენაა. მით უმეტეს. როცა იგებენ, რომ ყოველივე ამას უძველესი და უღრმესი ფესვები აქვს.

დიდი ენათმეცნიერის ნიკო მარის სიტყვებია: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმის. რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე. რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას. არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას.

ასე მდიდარია ქართული. შეიძლება ითქვას. შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

იციან ეს გამონათქვამი ჩვენმა სტუმრებმა. ახლა უკვე მრავალ ქვეყანაში იღვწიან ცნობილი ქართველოლოგები. რომლებიც ჩვენს კულტურას. ენას. ლიტერატურასა და ისტორიას მესვეურობენ.

მომავალი ქართველოლოგებიც გააბრწყინებენ ქართული ენის მადლს. ნიშნად ხალხთა მეგობრობისა.

ᲗᲘᲜᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

# „მზიური“

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე თავის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების. ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი სპეციალურად ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგების მდგომარეობას. მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს მიეძღვნება.

საბჭოთა მშრომელს ყოველგვარი პირობა უნდა შეექმნას შრომისა და დასვენებისათვის. საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული ქალი — დედა. დიასახლისი მაქსიმალურად უნდა განიტვირთოს მომქანცველი საოჯახო საქმისაგან. მას მეტი დრო უნდა დარჩეს თავისი პროფესიული თუ ინტელექტუალური განვითარებისათვის. შვილების აღზრდისათვის. დიასახლისმა ოჯახში მშვიდი. მყუდრო ატმოსფერო. კარგი გუნება-განწყობა უნდა დაამკვიდროს.

მომსახურების სისტემაში უკანასკნელი წლების მანძილზე გარკვეული ძვრები მოხდა: ახლა ბევრ ქალს აღარ უხდება კილომეტრების გავლა სამრეცხაომდე. ქიმწმენდამდე. ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შემკეთებელ პუნქტებამდე. რაიმე წვრილმანი საოჯახო ნივთისა და მისი დეტალის დამამზადებელ სახელოსნომდე.

გაფართოვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. გამრავლდა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი კომბინატები. სადაც ერთი მისვლით შეგიძლიათ რაიმენიმე საქმე მოილიოთ.

ჩვენი რესპუბლიკის. მეათე ხუთწლედის პირმშოა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი — „მზიური“. რომელიც შარშან გაიხსნა მეტალურგთა ქალაქ რუსთავში.



# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მზიურის" დირექტორი გახლავთ სოციალისტური შრომის გმირი, ფოლადის ჩქაროსნული დნობის რეკორდსმენი, წარმოების ვეტერანი ამირან ფანცულაია.

27 წელი იდგა ამირანი მარტენის ღუმელთან. შრომობდა კაცი დევგმირი, ფოლადივით მტკიცე, მართალი და შეუპოვარი. დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ფასი დაედო ალალ შრომას, მართალ სიტყვას, ამირანი ვერ გაიმეტეს „დასასვენებლად" (მეტალურგები 50 წლის ასაკში საპენსიონი არიან), რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ იგი ახლადგახსნილ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის საქმიანობას ჩაუყენა სათავეში.

13058

ამირანი გატაცებით გვაცნობს მშობლიური ქარხნის დღევანდელ წარმატებებს, მის შესანიშნავ თაოსნობებს, გეგმებს, დღესაც ქარხნის მაჯისცემით ცოცხლობს. მაგრამ არც ახალ საქმეს ეღალატება! მთელ ენთუზიაზმს დირექტორი ახლა მას ახმარს. გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა.

არის წინააღმდეგობები, დაბრკოლებები: კომბინატი ჯერ კიდევ მთლიანად არ ამუშავებულა; ზოგიერთი უბანი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, რამდენიმე საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტი ვერა და ვერ გაიხსნა, ზოგიც ვერ შემოიერთეს სხვა დაქვემდებარებიდან. ამის ერთ-ერთ და ძთავარ მიზეზად დირექტორი კომბინატის შეუფერებელ ადგილზე აშენებას აბრალებს. მომხმარებელთათვის ბევრად მოსახერხებელი იქნებოდა, იგი ქალაქის განაპირას კი არა, ცენტრში აეშენებინათო! როგორც ჩანს, ამ საქმის მესვეურებმა იმით იხელმძღვანელეს, რომ მომავალში ქალაქი ამ მიმართულებით უნდა გაიზარდოს. ასე რომ, მაშინ კომბინატი ქალაქის შუაგულში აღმოჩნდება.

არაფერი ამშვენებს და ალამაზებს ქალს ისე, როგორც მოხდენილი, გემოვნებით დავარცხნილი თმა. კვალიფიციური ხელოსნები არ იშურებენ ცოდნასა და ფანტაზიას, რომ რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი კლიენტი ჰყავდეთ.

კომბინატის პირველ სართულზე ბავშვთა, ქალთა და მამაკაცთა სალონებია.



კოსმეტიკის კაბინეტში კოსმეტოლოგი მრავალ პროცედურას უტარებს კლიენტებს — სახის მოვლა, გაწმენდა, ნიღბები, მასაჟები, ყოველივე ეს ალამაზებს და აახალგაზრდავებს ქალს.



ფერადი სურათები დ. ისაბოვიჩისა



რუსთაველებს ტრიკოტაჟის ნაწარმის შესაძენად შორს როდი უხდებათ წასვლა: „მზიურში" შეუძლიათ შეუკვეთონ, მოიქსოვონ და შეიკერონ კიდეც სასურველი ფერის მოდური კაბა, ბლუზა, ჟაკეტი, ძაისური...



კომბინატში ბევრი სხვა ოპერაციაც ტარდება: იკერება ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა ტანსაცმელი, მუშაობს ტყავ-საგალანტერიო საამქრო. მზადდება ქამრები და ღილები, ხდება ბეწვეულის რესტავრაცია, ჰმუშაობს ფოტოატელიე, ხმის ჩამწერი სტუდია, იკერება საბნები, მანქანის შალითები, ქუდები. როცა კომბინატი მთელი ძალით ამუშავდება, შენობის მეოთხე სართულზე გაიხსნება მოდების სადემონსტრაციო დარბაზები.

საბჭოთა ადამიანის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი პირობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს განუხრელი ზრდა-განვითარებაც არის.

ნანული ბუკია





ევა შტრიტმატერი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

## ჯერ კიდევ

არ მინდა ვიყო ჭკვიანი, ბრძენი, —
მე მსურს ვცოცხლობდე
მთელი არსებით,
რაც მომივლია ქვეყანა ვრცელი,
კვლავ მოვიარო
შენი თანხლებით;
მე მინდა ხარბად დავხარჯო წლები, —
შოპენჰაუერობას მოვესწრები;
ახლა მაქვს ჟამი —
ვიცოცხლო შვებით,
ახლა მაქვს ჟამი —
ვწერო ლექსები,
შევცქერი ზეცას ლურჯად შეფერილს,
და დღეს, ხვალინდელ დღეს,
რწმენით შევცქერი.

## მარტოობა

მე სიჩუმეში
ყოფნა მინდოდა,
და გულის გახსნა
ტყესთან, მინდორთან,
მიხმობდა ქალა
ოქროცურვილი,
და მარტოობის აბლაბუდაში
თვით გავეხვიე
ჩემი სურვილით.

თარგმნა მედეა კახიძემ

მთვარისა კერესელიძე

## ექო ამ დღეთა

დილაა სიცოცხლის, სიმღერის სწორფერი,
გახსნილა მეცხრე ცის ფანჯარა,
ოჩოფეხებიდან ჩამოსულა სოფელი,
და მწვანე ბაღნარში ჩამჯდარა.
ექოს ამ დიდ დღეთა დღეს რა შეანელებს,
ხალხს ვუმზერ გამრჯეს და გულიანს,
ამ მინდვრებს,
ამ ყანებს,
ამ ტყეებს,
ამ ველებს,
კოლმეურნეები უვლიან.
პატარძალივით მორთულან მაღალი ოდები,
ახლა სოფელი ნამდვილი სოფელია.
ვგრძნობ, —
სოფელს ვინც ახლა გულგრილად შორდება,
უთუოდ სიცოცხლის უარმყოფელია.

ატეხილ ქალას „ოდოიას“ დასძახის ქმარი,
ცოლი ჩაის კრეფს და ღიღინებს „დიდაოი ნანა“,
რად მეალერსება ნეტავ ასე, დღეს სოფლის ქარი,
ან ღელის კისკისი რად დამდევს თანა.
სხვაგვარად ვღელავ აქ მზის ამოსვლით,
ამ მიწის ჭრელი ტანისამოსით.
ვის შეაწუხებს გვალვა? დგას ტაროსი,
ახლა მზის თვალი ბრწყინავს ტაროში.
ახლა მზე კოლხური აღარ იბინდება,
ტაროები ხმლებივით იშიშვლეს სიმინდებმა.
ისეთი დილაა, გულს რომ ენატრება,
სისხლს რომ აგიჩქროლებს,
ლექსად რომ აგანთებს,
ყაყაჩოები — მინდვრის კლეაპატრები
უთუოდ რაღაცას დამმართებს.
შევხარი ველ-მინდვრებს,
დილის ცვრით მოფენილს,
გახსნილა მეცხრე ცის ფანჯარა.
როგორ არ მიყვარდეს
გულლაღი სოფელი,
მწვანე ბაღნარში რომ ჩამჯდარა!


ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა თვალს ავლებს განვლილს...

ზესტაფონის რაიონში არის სოფელი ახალი განთიადი. აქ ცხოვრობს სოციალისტური შრომის გმირი ანა ტყემალაძე. იგი სულ ახალგაზრდა ჩაება ახლადფეხადგმული კოლმეურნეობის ცხოვრებაში. მძიმე იყო მაშინ კოლმეურნეთა შრომა: მიწას პრიმიტიული წესით ამუშავებდნენ, არ ჰქონდათ მანქანა-იარაღები, ხალხიც უნდობლად უყურებდა საკოლმეურნეო საქმიანობას. მაგრამ ისინი, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები გახდნენ, სულდგმულობდნენ რწმენით, მომავლის იმედით. ამ რწმენამ მიიყვანა ანა კოლმეურნეობაში. ახლის, უკეთესის, პროგრესულის გამარჯვებაში იყო ის დიდი რომანტიკა, რომელიც ფრთებს ასხამდა 30-იანი წლების ახალგაზრდებს.

გავიდა ხანი. ანამ ზესტაფონის რაიონში კი არა, მთელს რესპუბლიკაში მოწინავე მევენახის სახელი დაიმკვიდრა. მისი მოვლილი ვენახი ყოველთვის თითით საჩვენებელი იყო. შრომით, მხოლოდ თავდადებული შრომით მიაღწია იმას, რომ გაპიროვნებული ვენახი ყოველთვის ნორმაზე მეტ მოსავალს აძლევდა.

ამჟამად ანა ტყემალაძე პერსონალური პენსიონერია. როცა თვალს ავლებს განვლილ გზას, ბევრი კარგი მოსაგონარი აქვს: თუნდაც 1948 წელი, როცა მისი შრომა და გარჯა სათანადოდ დაფასდა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ორი წლის შემდეგ მეორე ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. მევენახე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის საჰექტარო მოსავალმა 130 ცენტნერს გადააჭარბა. წლების მანძილზე ანა ტყემალაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატი იყო. რამდენი მედალი, სიგელი, მადლობა თუ პრემია აქვს ამ წლების მანძილზე მიღებული!

ანას ბიოგრაფიის საინტერესო ფურცლებია მისი მეგობრობა სახელგანთქმულ მეჩაიესთან ტატიანა ჩხაიძესთან. როგორც კი ვენახში საქმეს მოილევდა, მახარაძის რაიონის სოფელ შრომისაკენ გაუწევდა გული, სადაც ტატიანასგან ჩაისა და სხვა ციტრუსების მოვლა-მოყვანის წესებს სწავლობდა. ანა მალე დაეუფლა ჩაის კრეფას და ორი სახელოვანი ქალი გაპიროვნებულ ნაკვეთში დიდი გულმოდგინებით შრომობდა. რა ტკბილად იგონებენ იმ წლებს! ისინი დღესაც დიდი მეგობრები არიან. მიწერ-მოწერით, მონახულებით, იმ წლების მოგონებებით ავსებენ ერთმანეთის ცხოვრებას.

ერთი სატკივარი ორივეს აწუხებს და როცა ერთად არიან, სულ ამაზე საუბრობენ: ვინც კი განათლება მიიღო, ყველას თვალი ქალაქისაკენ უჭირავს — ალარავის უნდა სოფელში დარჩენაო.

— ეჰ, ავადმყოფობას რა ვუთხარი, — ამბობს ანა, — თორემ ვინ მომასწრებს ზვრებში ჩემებურად დატრიალებას!

რწმენა კი მაინც არ დაუკარგავთ, რომ ისევ აივსება სოფლები ახალგაზრდებით, მიწის სიყვარული, მშობლიური კუთხის სიყვარული დასძლევთ და კვლავ ხალხთმრავალი იქნება ჩვენი საფიცარი სამოსახლოები.

ნ. არჩვაძე

# მილოცვა

„70-45“ — ასეთი წარწერა მე-20 საშუალო სკოლის შენობის შესასვლელშივე დაგვხვდა. სპორტული დარბაზიდან სიმღერები და საცეკვაო მუსიკა ისმოდა. თითქმის ყველა კლასის მოსწავლე მონაწილეობდა იმ ვრცელ მონტაჟში, საყვარელ მასწავლებელს რომ უძღვნეს.

მუზა მძინარიშვილის იუბილეზე სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ მისი ყოფილი მოსწავლეები, უკვე დავაჟკაცებულნი, დაქალებულნი, საკმაოდ სახელმოხვეჭილნი.

დიდხანს იკრავდა გულში და ჰკოცნიდა დედასავით თბილი ქალი მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ჟენი პრიმკოვს, ერევნის ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სერგი მარტინიანს, ედიკ ავანიანს, ტიგრან კარაპეტიანს, ვლადიმერ შუხმანს, ლეონარდო ლებერტს, მომღერალ მედეა ნამორაძეს, იური ლეცევსკის და სხვებს. რამდენი სითბო და სიყვარული იყო ამ შეხვედრაში!

•

— მარტო ესენი კი არა, მე დიდი ბებიაცა ვარ, — სიცილით გვეუბნება ქალბატონი მუზა.

ჩვენ გვეგონა საკუთარ შვილებზე ამბობდა. არა, მისი აღზრდილები ამავე სკოლაში მოღვაწეობენ და უკვე შვილიშვილებიც ჰყავთ. ამიტომ არის, რომ მუზა მძინარიშვილი თავისთავს დიდ ბებიად თვლის.

45 წელი სკოლაში, აღსაზრდელებთან, კოლეგებთან... რამდენი სიხარული უნახავს ამ კედლებში, რამდენი ახალგაზრდა გაუცილებია ცხოვრების დიდ გზაზე და როგორ ესახელება, როცა მათგან მოკითხვის ბარათებს იღებს.

მუზა მერეციული-მძინარიშვილის სამშობლო მოსკოვია. მამა უცხო ენის მასწავლებელი ჰყავდა. თვითონაც ხომ ჰბაძავდა მას: დასხამდა თოჯინებს და გაუგებარ ენაზე ელაპარაკებოდა. ეს მისი „უცხო“ ენა იყო. მერე თბილისი გახდა მისი სამშობლო. აქ დაამთავრა უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი და ინგლისური ენის სპეციალისტი გახდა.

საკუთარი შვილები? ორი სახელოვანი ვაჟი ჰყავს, — ლეონარდო — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია, ნუგზარი — სპორტის საპატიო ოსტატი მაგიდის ჩოგბურთში.

რუსული ენის მასწავლებელმა, მისმა ყოფილმა მოსწავლემ, ირინე არევაძემ ღვაწლმოსილ მასწავლებელს დაბადების 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი მიულოცა. მერე კი მიკროფონი ხელიდან ხელში გადადიოდა.

— თუ მასწავლებელს მოსწავლე საკუთარი შვილივით არ უყვარს, თუ მოსწავლის ბედი მას არ აფიქრებს — ის მასწავლებელი არ არის და პროფესიაც უნდა შეიცვალოს — ამბობს იუბილარი.

მისი აღზრდილები კი თვლიან: მუზა მძინარიშვილი ჭეშმარიტი პედაგოგია!

დოდო ზურაბაშვილი

# ქალობა და ფანტასტიკა

ოლიმპიური თამაშები უდიდესი სპორტული მოვლენაა, მაგრამ არამც და არამც იგი შიშველი პრაგმატიზმის კუთხით არ უნდა გახვიხილოთ. იმთავითვე მასში დაფნისა და ვაზის ფოთლებივით ჩაწნული იყო ხალხთა მეგობრობის, მშვიდობის, სიყვარულის, კეთილშობილების უძვირფასესი იდეალები. ოლიმპიადა რომანტიკული გზა-შარის თავისებური ფინიშია, ნათელი ოლიმპოა, სადაც ოთხი წლის „მოგზაურობის" შემდეგ თავის ძალასა და უნარს, დაუხარჯავ ვნებებსა და სინაზეს ავლენს კაცობრიობის ყველაზე ჯანსაღი ნაწილი. ოლიმპიადა — ეს მინიატურაში მოქცეული მსოფლიოა თავისი სიხარულითა და სევდით, თავისი მისწრაფებებითა და წიაღსვლებით, გონიერი გაბედულებითა და შესაშური სინაზით. ერთი სიტყვით, ხუთი ერთმანეთზე გადაჭდობილი რგოლი — ხუთი ღონიერი მარჯვენაა, ხუთი კონტინენტის მიერ გაწვდილი. ამ მძლავრ ხელებში, რომლებიც ძალის გარდა რწმენასაც გამოხატავენ, ჩვენი ხელების სითბოც ემატება, მკითხველო, ჩვენცა ვართ დიდი ოლიმპიადის დაუსწრებელი მონაწილენი, რადგან ოლიმპიადა, როგორც უკვე ვთქვით, მარტოოდენ დიადი სპორტული დღესასწაული არ გახლავთ.

მიკერძოებაში არავინ ჩამოგვართმევს, თუკი საყოველთაოდ აღიარებულ აზრს გამოვთქვამთ: ოლიმპიური მოძრაობა შეუდარებლად დაიხვეწა, მისი მაცოცხლებელი წყაროები საგრძნობლად დაიწმინდა და თავანკარა გახდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა სპორტი ბურჯივით ამოუდგა ჰერკულესის სვეტებზე დაყრდნობილ ვეება სიმბოლურ ოლიმპიურ ტაძარს. უფრო იძალა და აგიზგიზდა ოლიმპიური კოცონი უზარმაზარ ფიალაში, უფრო გამძაფრდა ბრძოლა, პატიოსანი და რაინდული ბრძოლა იმ პრინციპებისათვის, რომლებიც იმთავითვე საფუძვლად დაედო ოლიმპიური თამაშების მოძრაობას. დიახ, თვით ყველაზე მდიდარი ფანტაზიის მქონე ადამიანსაც კი გაუჭირდება წარმოიდგინოს ოლიმპიადა საბჭოთა სპორტსმენთა რაზმის გარეშე. განა შემთხვევითია, რომ საბჭოთა სპორტმა ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე უბრწყინვალესი ფურცლები ჩაწერა ოლიმპიურ მატიანეში? მაგრამ, დამეთანხმებით, მონრეალის ოლიმპიადა მაინც გამორჩეულია და საგანგებო ადგილი უჭირავს საბჭოთა ოლიმპიურ მოძრაობაში. ივლისის შხაპუნა წვიმასავით წამოვიდა ოლიმპიური მედლები. ეს წვიმა ცის მანანასავით დაეპკურა თვალუწვდენელ საბჭოეთში ვარსკვლავებივით მიმობნეულ ურიცხვ სპორტულ მოედნებსა და დარბაზებს, აუზებსა და სარბენ ბილიკებს, სადაც მილიონობით ჭაბუკი და ქალიშვილი ილტვის სანუკვარი მიზნისკენ: „სწრაფად, მაღლა, ძლიერად!", ანუ ფიზიკური და სულიერი სრულყოფისაკენ, ჰარმონიისაკენ, სილამაზისა და სიწმინდისაკენ.

რა დასანანია, რომ დიად სპორტულ ფორუმზე ვერ ვიხილეთ საქართველოს ქალთა სპორტის ვერც ერთი წარმომადგენელი. როგორც იტყვიან, ჩვენს რესპუბლიკას მონრეალიდან ამბის ჩამომტანიც კი არ ჰყავდა.

ეს ერთ-ერთი უიშვიათესი ოლიმპიადა აღმოჩნდა, სადაც მზია ჯუღელს, ნინო დუმბაძეს, ნადეჟდა დვალიშვილს, თინათინ ლეკვეიშვილს, და ქეთევან ლოსაბერიძეს არ გამოუჩნდნენ ღირსეული მემკვიდრეები. მაგრამ სპორტი დაუდეგარი მდინარესავით ადგილზე არ ჩერდება, იგი გამუდმებით იძლევა საშუალებას კვლავ და კვლავ წარმოაჩინონ სპორტსმენებმა თავიანთი ოსტატობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტრიქონებს ჟურნალის მკითხველებთან ერთად ეცნობიან ჩვენი ნორჩი სპორტსმენი გოგონები, მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილენი, იმიტომ რომ ეყო ქართველ სპორტს გულისგამაწვრილებელი ხანგრძლივი და მძაფრი კრიზისი, იმიტომ რომ ჯეჯილის დარად აიყარა ტანი ცნობილ სპორტსმენთა ცვლამ, იმიტომაც რომ ლვოვში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საგულისხმო და საიმედო ძვრები შევნიშნეთ. ეს უსაფუძვლო, წრეგადასული ოპტიმიზმი არ გახლავთ. ქართული სპორტი და, კერძოდ, მისი განუყოფელი ნაწილი ქალთა სპორტი ბოლო წლებში, თუ ხატოვნად ვიტყვით, დაადგა თანამედროვე ლიანდაგს. რა ვუყოთ, თუკი ლოკომოტივი ამ ლიანდაგზე ისეთი სისწრაფით არ მიჰქრის, როგორც ჩვენ გვინდა. მთავარია, რომ გაიღვიძა სპორტულ საზოგადოებრიობაში მიძინებულმა პატივმოყვარეობამ, მაძიებელმა აზრმა, თვითკრიტიკულმა საწყისმა

დამერწმუნეთ, თავიდან მხოლოდ დიდი ოლიმპიადის შედეგებზე მინდოდა მესაუბრა, მაგრამ შინაურ პრობლემებს ვერაფრით ავცდი. შესაძლოა, ქართული სპორტის თაობაზე გამოთქმული შეხედულებანი არ ახალია, ძველია, მაგრამ ისინი დღემდე გვაღელვებს და მოსვენებას არ გვაძლევს. ახლა კი შევეცადოთ თავისი [illegible] ღათ მონრეალის ოლიმპიადის [illegible], ვინც შუქ-ნათელი დაადგეს დიდს ასპარეზობას.

ამბობენ, გმირობა ჩვეულებრივი ამბავია, როგორც, საზოგადოდ, ყოველივე დიადი, ისიც უბრალო, სადა და ნათელიაო. ჩვენ აღტაცებული დავრჩით საშუალო მანძილებზე მორბენლის ტატიანა კაზანკინას ოსტატობით. დისტანციები, რომლებსაც ეს შველივით მკვირცხლი მძლეოსანი ფარავს, ერთობ სწრაფწარმავალია — რამდენიმე წუთი და ფინიშის ზონარიც გამოჩნდება. მაგრამ ეს მარტო რბენა არ არის. იგი აზროვნებაა, იგი თუ გნებავთ, შთაგონებაა, რომელიც დიდი ტილოს შექმნის წინ ეწვევა ხელოვანს, იგი მწვრთნელთა, აღმზრდელთა, მეცნიერთა აზრის გამარჯვებაა, იგი საბჭოთა მძლეოსნობის მდიდარი ტრადიციების გაგრძელება და ლოგიკური შედეგია, იგი ურიცხვი კილომეტრია, რომლებიც გაურბენია ამ ერთი შეხედვით სუსტ ქალიშვილს. ესაა უთვალავი საათი, რომლებიც კაზახკიხამ სტადიონის ბილიკებზე გაატარა და რომლებიც შეძლო „მოეკლა" თეატრებსა და კინოში, საოჯახო წვეულებებსა და მეგობრებთან სეირნობაში. აუტანელ, არაადამიანურ მსხვერპლად გეჩვენებათ? მაშ, რა პასუხი გავცეთ ლეგენდარულ გერმანელ მოცურავე გოგონას, მონრეალის ოლიმპიადის ოთხი ოქროს მედლის მფლობელს კორნელია ენდერს, როცა საჯაროდ განაცხადა: თუ აუზში არა ვარ, მოწყენილობა მკლავს, ჩემთვის ცისფერი ბილიკი ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე მაღლა დგასო. ეს ფანატიკოსის განცხადება არ გახლავთ. კორნელია ჩინებული მოსწავლეა, იცის მუსიკისა და ლიტერატურის ყადრი. სულ მალე, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი იქორწინებს არანაკლებ სახელგანთქმულ სპორტსმენთან, გულაღმა ცურვის მეფედ წოდებულ როლანდ მატესსთან. როგორც ხედავთ, მშვენიერი კორნელიასათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის, ისევე, როგორც ტატიანა კაზანკინასათვის როცა მორცხვ, კარგი გაგებით ქალურ ტატიანას მონრეალის ორი ოქროს მედალოსანს ჰკითხეს, რა არის მისთვის ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნო, მან უპასუხა: როცა იღება კარი და სტუმრები შემოდიან, როცა გარს მახვევია უახლოესი მეგობრებით... უამისოდ — უსიყვარულოდ, უმეგობროდ მსოფლიოში ყველას ვერ აჯობებ, რაგინდ დიდი სპორტსმენიც არ უნდა იყო. იქნებ სწორედ ამ მეგობრობისა და სიყვარულის სითბო, გამრავლებული ჭეშმარიტ ქალურ სინაზეზე, რაღა თქმა უნდა, უნაკლო ოსტატობაზე, მიაქროლებდა მონრეალის ტრიუმფატორს ფინიშის ხაზისაკენ?

ახლა ერთი წუთით კვლავ ზოგად მსჯელობას დავუბრუნდეთ. რა იქნებოდა ოლიმპიადა, სპორტსმენი ქალები რომ არ ყოფილიყვნენ? ეს სურათი არც თუ ისე ძნელი წარმოსადგენია, რადგანაც, მართალია, ძალზე დიდი ხნის წინათ, კლასიკური ელინური ოლიმპიადების ეპოქაში საამისო პრეცედენტი საკმაოდ გახლდათ. უბრალოდ, იმ დროს ქალებს, კეთილშობილი, ჰუმანური ბერძნებისგან ესოდენ გაღმერთებულ მშვენიერ სქესს ეკრძალებოდა არათუ ოლიმპიადაში მონა-

წილეობა, არამედ სასპარეზო ადგილზე გაწონვაც კი. მაგრამ, შესაძლოა, ეს იყოს ერთადერთი ნაკლი ოლიმპიადებისა. დღეს ამაზე კამათი სასაცილოც კია.

ქალები მარტო ოლიმპიელები არ არიან ისინი გახლავთ ყველა ოლიმპიური თამაშების ნაზი და მშვენიერი დიასახლისები. გამეორებაში ნუ ჩამითვლით და იგივე ტატიანა კაზანკინაზე განთქმულმა ამერიკელმა მძლეოსანმა უოლკატერმა თქვა, ასეთ შედეგებზე ბევრი ძლიერი სპორტსმენი ვაჟიც არ იტყოდა უარსო. დიახ, ქალურობა და სინაზე როდი გამორიცხავს ძალას, ფანტასტიკური რეკორდების დამყარების უნარს. სხვათა შორის, ერთობ საგულისხმოა ასეთი ფაქტი: ოლიმპიადის მოცურავეთა ოცდაორი მსოფლიო რეკორდიდან ათი ქალების წილად მოდის, მძლეოსნობაში პროპორცია შესაბამისად გახლავთ 5-4-თან. სტატისტიკის მოყვარულებს ბევრი ასეთი საგულისხმო მომენტი შეუძლიათ აღწერონ.

ოლიმპიადა უზარმაზარი სტიქიონია. იგი ოკეანესავით უსასრულოა და მომცრო წერილში არა თუ მის მთლიან პანორამას, არამედ მიახლოვებითს სურათსაც კი ვერ წარმოვადგენთ, მაგრამ ერთ შესანიშნავ სპორტსმენზე არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ. ესაა ჩიჩკენტელი ფერია, 19 წლის ტანმოვარჯიშე ნელი კიმი. მისი თვალების აღმოსავლურ ჭრილში თითქოს ლაჟვარდი ნანაობს, მისი მოქნილი სხეული თვით ყველაზე ფანტასტიურ მოძრაობას ენითგამოუთქმელი სიმსუბუქითა და სილაღით ასრულებს. იგი დაფრინავს, ცეკვავს, ტანვარჯიშის ენაზე გალობს თავდავიწყებით, რომლის მსგავსი ჯერ არავის სმენია. ეს არის ტანვარჯიშული სპექტაკლი, კონცერტი, როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ. ფანტასტიკაა 14 წლის რუმინელი ტანმოვარჯიშის ნადია კომანეჩის ვარჯიში. იგი თითქოს გასხივოსნებულია არა ჩვეულებრივი, არამედ იმ უზარმაზარი მზის დისკოთი, რომელიც საღამოს პირს ეშვება ზღვაში. კომანეჩი — პირველი, კიმი — მეორე, ასეთი მსჯავრი გამოიტანეს ოლიმპიადაზე მკაცრმა, მიუდგომელმა მსაჯებმა. ეს სპორტული შედეგი გახლდათ, ათასობით მაყურებელმა და მილიონობით გულშემატკივარმა, რომლებიც ტელევიზორის ეკრანზე ადევნებდნენ თვალყურს ტანვარჯიშის ფერიების პაექრობას, თავიანთი ესთეტიკური შეფასება მისცეს კომანეჩი-კიმის საოცარ გამოსვლებს. ისინი ამბობდნენ: კომანეჩი — პირველი, კიმიც — პირველი, ასეთია, საზოგადოდ, უმაღლესი ოსტატობის, შთაგონების, არტისტიზმისა და სინაზის შემოქმედების ძალა. ეს ის შემთხვევაა, როცა სპორტული შედეგის მიუხედავად ტანვარჯიშის გულწრფელ დამფასებლებისათვის სილამაზე იქცევა უმაღლეს და მთავარ საზომად.

გაიხსენეთ, ძვირფასო მკითხველო, რაძდენი ასეთი უსაზღვრო სიამოვნების წუთი განგვაცდევინეს ოლიმპიადაში მონაწილე ქალებმა, როგორი მადლიერნი ვართ მათი, რადგანაც ოლიმპიადას უთვალავი მოციმციმე ვარსკვლავი გადააყარეს, უფრო ძლიერად, უფრო ძალუმად ააგიზგიზეს ოლიმპიური კოცონი, რომელიც გაგვათბობს მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადამდე, კეთილ და სტუმართმოყვარე მასპინძელთან მისვლამდე.

არჩილ გოგელია

# ქორწინების რეგისტრაცია და მისი მნიშვნელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო რედაქციავ!

გაწუხებთ, რადგან სხვა გზა არა მაქვს, მეტი აღარ შემიძლია, უზომოდ დავიტანჯე...

ჩემს წვალებას არაფრად ჩავთვლიდი, ბავშვის ბედი რომ არ მაწუხებდეს: რა ვქნა, რით ვუშველო?

არადა, რა ბედნიერი ოჯახი მქონდა! რა ქმარი მყავდა! რა ზრუნვით, რა სიყვარულით დაგვტრიალებდა თავს... მაგრამ ერთ უბედურ დღეს ყველაფერი დამენგრა, მეუღლე უეცრად დამეღუპა და მე და ჩემი 7 თვის შვილი უპატრონოდ დავრჩით.

დავბრუნდი ჩემს ინვალიდ მამასთან, რომელსაც გარდა პენსიისა, საარსებო სახსრები არ გააჩნია. სამუშაოდ გავიდოდი, მაგრამ პატარას რა ვუყო? ხშირად ავადმყოფობს და ვერავისთან დამიტოვებია.

ჩემს ბავშვს მამის პენსია მაინც რომ ჰქონოდა, დიდად დაგვეხმარებოდა, მაგრამ პენსიაზე უარს გვეუბნებიან, რადგან ქორწინების მოწმობა არ გამაჩნია.

განა მე და ჩემი მეუღლე ქორწინების რეგისტრაციის წინააღმდეგი ვიყავით? განცხადებაც კი გვქონდა შეტანილი, მაგრამ ხან მეუღლეს არ ეცალა (ყოველდღიურად სოფლიდან ქალაქში, შორ მანძილზე უხდებოდა სამსახურში სიარული), ხან საბჭოს მდივანი არ იყო ადგილზე, ხან რა გვიშლიდა ხელს და ხან რა... ბედნიერი დღეები კი გარბოდნენ და ვინ წარმოიდგენდა, რომ ცამოწმენდილზე ასეთი მეხი დაგვატყდებოდა თავს!

ახლა რა ვქნა, როგორ მოვიქცე? იქნებ მე და ჩემი მეუღლე დამნაშავენიც ვართ, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ჩვენი ქორწინების სათანადოდ გაფორმება, მაგრამ ბავშვი? ბავშვმა რა დააშავა? მამით ობლობა არ ეყოფა, რომ კუთვნილ პენსიას არ აძლევენ? ნუთუ ერთი ხელისმოწერა უნდა წყვეტდეს ყველაფერს? ბავშვს ხომ კვება უნდა, წამალი, ჩაცმა და რით, რა საშუალებით?

ერთადერთ იმედად თქვენ მიმაჩნიხართ და გემუდარებით, გვიშუამდგომლეთ პენსიის თაობაზე, მოგვხედეთ, გვიშველეთ, დაგვეხმარეთ!"

მ. თ.

„გვიშველეთ, დაგვეხმარეთ!"

„გვიშველეთ, დაგვეხმარეთ!"

რამდენი ასეთი ვედრება მოაქვს ჩვენთან სარედაქციო ფოსტას! რამდენი მარტოხელა დედა თავად მოდის რედაქციაში და მეტწილად ბავშვიც მოჰყავს თან — მიცვალებულისა თუ ცოცხალი მამისგან ობლად დარჩენილი ბავშვი, რომლის ბედზეც მის მშობლებს თავის დროზე არ უზრუნიათ...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი ჩვენი საზოგადოების საერთო საზრუნავია. ისიც ცნობილია, რომ დიდი ხანია, რაც ტერმინი „უკანონო" ბავშვი ჩვენი ლექსიკონიდან ამოღებულია, და ისიც, რომ ყველა სიკეთე, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ბავშვებისათვის მოეპოვება, თანაბრად ვრცელდება ყველა მათგანზე.

დიახ, ყველა სიკეთე!

მაგრამ რომელ საზოგადოებას ძალუძს განუქარვოს ცოცხალი მამის მიერ „დაობლებულ" ბავშვს უდიდესი ტანჯვა და უბედურება, რომელიც მას დაუმსახურებლად არგუნეს და ისიც ვინ! — ყველაზე მახლობელმა ადამიანებმა!

რომელ საზოგადოებას ძალუძს გაუწიოს ქალს „მეუღლეობა" ბავშვის აღზრდაში, გაინაწილოს მისი ყოველდღიური საზრუნავი, წუხილი თუ სიხარული...

არიან ქალები, რომლებმაც, უშვილოდ დარჩენას, მარტოხელა დედობა ამჯობინეს და ამიტომ არც ბედს უჩივიან, არც ადამიანებს და, ნაკისრი მოვალეობის და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, ღირსეულად ზრდიან სასურველ ბავშვებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, არც თუ ცოტანი არიან ისეთებიც, ვინც გრძნობას აყოლილნი, ზოგჯერ კი შეგნებულადაც, პრაქტიკული მოსაზრებით, ჯერ ბავშვს აჩენენ და შემდეგ იწყებენ იმის რკვევა-დადგენას, თუ ვის რა ევალება მათ მიერ გაჩენილი სიცოცხლის მიმართ. და იწყება სირბილი სასამართლოებსა თუ რედაქციებში...

არის ისეთი დაუდევრობის შემთხვევებიც, რომელზეც ზემოთ მოყვანილ წერილშია ლაპარაკი...

**ყველა მათგანის ბედზე დაფიქრებამ, „უდანაშაულო დამნაშავე“ ბავშვების ბედზე დაფიქრებამ გადაგვაწყვეტინა მიგვემართა იურისტასათვის, რათა ერთხელ კიდევ გაგვეფრთხილებინა ადამიანები, ერთხელ კიდევ შევვეჩერებინა მათი ყურადღება მეტად საჭირბოროტო საკითხებზე, კერძოდ, საქორწინო კანონმდებლობაზე, რომლის არცოდნა ან უგულვებელყოფა ძვირად უჯდებათ ადამიანებს და, ერთობლივად — ჩვენს საზოგადოებრიობას.**

ოჯახის შექმნის საფუძველი ქორწინებაა. თუ საფუძველი მტკიცეა, ოჯახიც ჯანსაღია. თითოეული ინდივიდუალური ქორწინების სიმტკიცე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, აღიარებულია თუ არა იგი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ქორწინება, გარდა ცოლქმრული ურთიერთობისა, ამ ურთიერთობასთან საზოგადოების დამოკიდებულებასაც გულისხმობს. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ ქალ-ვაჟის კავშირი საქორწინო ურთიერთობად ცნონ. ჩვენს სინამდვილეში ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა ქორწინების რელიგიურმა წესმა. იურიდიული ძალა მხოლოდ იმ ქორწინებას აქვს, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში (მმაჩ-ში). ჩვენი სახელმწიფო იცავს რეგისტრირებულ ქორწინებას, იწონებს და მხარს უჭერს მას. რეგისტრაციის დროს მექორწინეებს შეუძლიათ ძალდაუტანებლად, თავისუფლად და დამოუკიდებლად გამოთქვან თავიანთი აზრები.

საოჯახო კანონმდებლობა კრძალავს მცირეწლოვანთა ქორწინებას, რადგანაც ნაადრევი ქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდთა ჯანმრთელობაზე და აფერხებს მათს ინტელექტუალურ განვითარებას. რეგისტრაციის საშუალებით სახელმწიფო კონტროლს უწევს ქორწინების ამ მნიშვნელოვან მხარეს.

რეგისტრაცია იცავს საბჭოთა ოჯახის სიწმინდესა და სიმტკიცეს, შესაძლებლობას უსპობს იმ პირთა ქორწინებას, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი იმყოფება სხვა, დაურღვეველ ქორწინებაში.

ქორწინების რეგისტრაციას მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეუღლეთა უფლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ასეთი ქორწინებით წარმოიშობა. ეს ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-19 მუხლში: „მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული ქორწინება“. ამიტომ ქალისა და კაცის თანაცხოვრება (სულ ერთია როგორია მისი ხანგრძლიობა), თუ აღიარებული არ არის მმაჩ-ის ორგანოში რეგისტრაციის გზით, სამართლებრივი თვალსაზრისით ქორწინებად არ მიიჩნევა და არც წარმოშობს მეუღლეთა უფლებრივ ურთიერთობას.

კანონით გათვალისწინებული პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობები მხოლოდ იმ მეუღლეთა შორის წარმოიშობა, რომელთა ქორწინებაც რეგისტრირებულია. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს უფლება აქვს შეიცვალოს ქორწინებამდელი გვარი და დაეწეროს მეორე მეუღლის გვარზე, მოითხოვოს თავისი წილი ერთად შეძენილი ქონებიდან, მიიღოს ალიმენტი, მოსთხოვოს სარჩო მეუღლეს შრომისუუნარობისა და გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნისას, უფლება აქვს იყოს გარდაცვლილი მეუღლის კანონიერი მემკვიდრე. ამ უფლებებით ვერ ისარგებლებს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე.

სრულფასოვანი ოჯახი მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაზეა დაფუძნებული. მხოლოდ ასეთ ოჯახშია უფლებრივი ურთიერთობა შვილებსა და მშობლებს შორის. არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის უფლებრივი კავშირი, კანონით, შენარჩუნებულია დედასთან, სადავო და დასადგენია ასეთი კავშირი ბავშვსა და მამად დასახელებულ პირს შორის. თუ ასეთ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის მამა ნებაყოფლობით აღიარებს მამობას და ამის შესახებ მმაჩ-ის ორგანოში შეტანილი იქნება მშობელთა ერთობლივი განცხადება, წარმოიშობა უფლებრივი ურთიერთობა ბავშვსა და მამას შორის. თუ მამად დასახელებული პირი ნებაყოფლობით არ ცნობს თავს ბავშვის მამად, შეიძლება ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდეს, ხოლო, თუ არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება, — ბავშვი ვერ ამყარებს უფლებრივ კავშირს მამად დასახელებულ პირთან. ასეთი ბავშვი მარტოხელა დედის შვილად ითვლება, დედის გვარზე იწერება და მამის სახელი დედის მითითებით ეძლევა. მაშინ ბავშვი ვერც მამის გვარს იღებს, ვერც — ალიმენტს, ვერც — პენსიას მამის გარდაცვალების შემთხვევაში, მის კანონიერ მემკვიდრედ არ ითვლება. მართლია, ჩვენი ქვეყანა ასეთი ბავშვების მიმართ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენს, მაგრამ ისინი მაინც მტკივნეულად განიცდიან უმამობას, რადგანაც მოკლებულნი არიან მის სიყვარულს. ის მშობელი, რომელიც სერიოზულად არ ეკიდება ქორწინების რეგისტრაციის პირადულ-საზოგადოებრივ საქმეს, ნებით თუ უნებლიედ, დიდ გულისტკივილს აყენებს თავის შვილებს.

ქორწინების რეგისტრაცია ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისათვის, დაბრკოლებას არ ქმნის მექორწინეთა ეროვნება, რასა, სოციალური მდგომარეობა და რელიგია. იმ პირს, რომელსაც დაქორწინება სურს, შეუძლია ქორწინება რეგისტრაციაში გაატაროს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ საქალაქო და რაიონულ ბიუროში, ხოლო სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში. განცხადება დაქორწინების შესახებ შეიძლება შეტანილ იქნას სურვილისამებრ, ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ან მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ქორწინება განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის შემდეგ ფორმდება. ერთთვიანი შუალედი იმიტომ არის დადგენილი, რომ მექორწინეებს საშუალება ჰქონდეთ ამ ხანში კიდევ კარგად აწონ-დაწონონ თავიანთი აზრი, გადაწყვეტილება.

ქორწინების რეგისტრაცია დანიშნულ დღესა და საათს, დასაქორწინებელი პირებისა და მოწმეების დასწრებით უნდა მოხდეს. მექორწინენი ვალდებული არიან წარადგინონ პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც იწერება მეუღლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ქორწინების რეგისტრაციის ადგილი და დრო. რეგისტრაციის შემდეგ მეუღლეებს ქორწინების მოწმობა ეძლევათ, რაც ოჯახის შექმნას ადასტურებს.

ქორწინებას საზეიმო ელფერი უნდა ჰქონდეს. საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს მმაჩ-ის ორგანოთა ვალდებულებას — ქორწინების რეგისტრაცია საზეიმო ვითარებაში უზრუნველყონ მექორწინეთა თანხმობით. სწორედ ამ მიზნით ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში გაიხსნა საქორწინო სახლი, სადაც ქორწინების რეგისტრაციას საზეიმო ელფერი აქვს.

ქორწინების რეგისტრაციის არსი და ფორმა მიზნად ისახავს უზრუნველყოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, განამტკიცოს მოქალაქეთა რწმენა ოჯახური ბედნიერებისადმი, აამაღლოს მათი პასუხისმგებლობა ოჯახისა და საზოგადოების წინაშე. ამიტომ სახელმწიფო და საზოგადოება იწონებს და მიესალმება რეგისტრირებულ ქორწინებას. თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას ღრმად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი სახელმწიფო, კანონმდებლობა და საზოგადოებრივი აზრი რეგისტრირებულ ქორწინებას.

**ვიოლა გეწაძე,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი.**

# შეიძლება თუ არა სიმაღლის მომატება

თუ სხეული ჰარმონიულადაა განვითარებული, რაც უფრო მაღალია ადამიანი, მით უფრო მეტია მისი წონა და გულმკერდის გარშემოწერილობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჯანმრთელობისათვის, ისე შრომისუნარიანობისათვისაც. მეორე მხრივ კი, კოხტა ტანი ესთეტიკურ სიამოვნებას გვგვრის.

სიმაღლე, მეტ შემთხვევაში, შთამომავლობითია, მაგრამ ბევრი შინაგანი და გარეგანი ფაქტორითაცაა გაპირობებული.

ომისშემდგომ თაობათა აქსელერაცია, რომელიც ევროპის ბევრ სახელმწიფოში შეიმჩნევა, ერთ-ერთი მტკიცებაა იმისა, როგორ აღიბეჭდება მატერიალური კეთილდღეობა ადამიანის ფიზიკურ განვითარებაზე. ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს ფიზკულტურა და სპორტი. ჩვენი თუ საზღვარგარეთელი ავტორების უამრავი მეცნიერული კვლევა ამტკიცებს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც სისტემატურად მისდევენ სპორტს გაცილებით მაღლები და განვითარებულნი არიან, ვიდრე მათი თანატოლები, რომელნიც სპორტით არ არიან დაინტერესებულნი.

როგორია ამ გავლენათა ფიზიოლოგიური მექანიზმი? ცდებით დამტკიცებულია, რომ დაწოლისა და გაჭიმვის მექანიკური ძალები, რომლებიც კუნთების შეკუმშვისას წარმოიქმნება და კუნთის ძვალთან მიმაგრების ადგილზე მოქმედებს, აუმჯობესებს ძვლის ნივთიერების გამოყოფას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ზრდასა და ძვლების ჩამოყალიბებას. და პირიქით, იმ ადგილებში, სადაც ეს ხანგრძლივად არ ხდება, ძვლების ატროფია ვითარდება.

საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ძვლებზე გამუდმებული, თუნდაც უმნიშვნელო დაწოლა, ზრდას აფერხებს. ამრიგად, ნათელი ხდება, თუ მძიმე ფიზიკური შრომით დატვირთული ბავშვები რატომ ჩამორჩებიან ხოლმე სიმაღლეში თანატოლებს. აი სწორედ ამიტომ, ზრდის პერიოდში სასურველი არ არის სპორტის იმ სახეობით გატაცება, რომელიც ხანგრძლივ სტატურ დაჭიმვასთან და კუნთების ძლიერ განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამის მაგალითია, სიმძიმეთა აწევა, რასაც შესაძლოა, ზრდის შეჩერება მოჰყვეს. არის პირიქითაც: დაწოლის ხშირი მონაცვლეობა ისეთ ფიზკულტურულ ვარჯიშებში, როგორებიცაა სიარული, სირბილი, ხტომა და სხვა, ხელს უწყობს ძვლების ზრდას. ის ვარჯიშები, რომელთა დროსაც ამა თუ იმ ძვლებზე თანაბრად მონაცვლეობს დაწოლა, გაჭიმვა და დასვენება, ხელს უწყობს ძვლების ზრდას. ასეთებია ცურვა, ხელბურთი, ჩოგბურთი, მხატვრული ტანვარჯიში და სხვა. დადებითი ეფექტის მიღება, რა თქმა უნდა მხოლოდ განსაზღვრულ ასაკში შეიძლება — 18-დან 25 წლამდე. ამ ასაკის შემდეგ კი ქალებმა თავიანთი ძალა სხეულის ჰარმონიულ განვითარებას უნდა მოახმარონ: შეინარჩუნონ მოხდენილი აღნაგობა, იარონ კოხტად, არამც და არამც არ გასუქდნენ. მაშინ არც თუ ისე მაღალი ქალებიც კი აშოლტილი გამოჩნდებიან და ყველას მოხიბლავენ თავიანთი აღნაგობით.

გთავაზობთ ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსს, რომელიც ხელს უწყობს ზრდასა და სხეულის მოქნილობას.

**ვარჯიში პირველი.** საწყისი მდგომარეობა — დგომა. დაიწყეთ სიარული ცერებზე, მუხლები არ მოხაროთ, კოჭები და წვივები ზამბარასავით ამოძრავეთ. ორი ნაბიჯის გადადგმისას ჩაისუნთქეთ, ოთხი ნაბიჯის გადადგმისას კი ნელი-ნელ ამოისუნთქეთ. ვარჯიში 1-2 წუთი სრულდება.

**ვარჯიში მეორე:** დადექით სწორად. დაიწყეთ ადგილზე სირბილი, რბენისას მუხლები მაღლა ასწიეთ. სუნთქვა ნებისმიერია, არ შეიკავოთ. ერთი წუთი გრძელდება.

**ვარჯიში მესამე:** დადექით სწორად. ხელები დაუშვით და თითები გადააჯვარედინეთ. ერთ თვლაზე გადაჭდობილი ხელები ჯერ წინ გასწიეთ, შემდეგ — ზევით და ხელისგულები გარეთ გააბრუნეთ. ერთდროულად აიწიეთ ცერებზე და რამდენიც შეგიძლიათ, გაიჭიმეთ — ჩაისუნთქეთ. მეორე თვლაზე დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ამოისუნთქეთ ვარჯიში 5-6-ჯერ გაიმეორეთ.

**ვარჯიში მეოთხე.** დადექით სწორად. ხელები ასწიეთ მაღლა. ერთ თვლაზე ხელები წვივებს წაატანეთ, თან ეცადეთ შუბლით მუხლებს შეეხოთ. ამოისუნთქეთ. ორ თვლაზე გასწორდით და ამოისუნთქეთ. 5-6 ჯერ გაიმეორეთ.

**ვარჯიში მეხუთე:** დადექით სწორად. თვლაზე — ერთი, ორი, სამი — ორივე ფეხით ოდნავ შეხტით, მუხლები თითქმის გამართულია. თვლაზე — ოთხი — ძლიერად ახტით და ისე გაიჭიმეთ, თითქოს მაღლა დაკიდებულ ნივთს გინდათ მისწვდეთ: სუნთქვა ნებისმიერი. 8-10-ჯერ გაიმეორეთ.

**ვარჯიში მეექვსე:** დაწექით ზურგზე. თვლაზე — ერთი — ცალი ფეხი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ქუსლის იატაკზე გასრიალებით გაჭიმეთ წინ (ცერი გაჭიმული არ არის), ასე გაჭიმული გააჩერეთ ფეხი 3-4 წამი. თვლაზე — 3-4 — იგივე გაიმეორეთ მეორე ფეხით. ამ ვარჯიშში შეგიძლიათ ჩართოთ უკან გაჭიმული ხელიც, ოღონდ ფეხი თუ მარცხენა გაჭიმეთ, ხელი მარჯვენა უნდა იყოს.

**ვარჯიში მეშვიდე:** ორივე ხელით ხის ტოტს ან სხვა რაიმე მაღალ საყრდენს ჩაჭიდეთ და ზედ ჩამოეკიდეთ. მერე კუნთები თანდათან ისე მოადუნეთ, რომ სხეულის დაგრძელება იგრძნოთ. ასეთ მდგომარეობაში დაჰყავით 8-10 წამი ან მეტი ხანიც.

ვარჯიში სასურველია დღეში 2-3-ჯერ გაიმეოროთ.

ლიუდმილა ვენოვა



3



3a



4



6



6a

# სასარგებლო რჩევები

თუ სადუღარა ჩამუქდა და ნალექი ძოედო, ძმრიან წყალში (1-2- სუფრის კოვზი ძმარი ერთ ლიტრ წყალზე) ჩადეთ და ადუღეთ.

პირში ხახვის სუნი გაგიქრებათ, თუ ერთ ჭიქა მაგარ ყავას დალევთ ან ყავის რამდენიმე მარცვალს დაღეჭავთ.

მოცისფრო-მოლურჯო ბამბის ქსოვილი ან მუქი აბრეშუმი გარეცხვის შემდეგ ცხელ მარილიან წყალში (სამი სუფრის კოვზი მარილი ერთ ლიტრ წყალზე) უნდა გაავლოთ. ეს ქსოვილს ახასხასებს და პეწს მატებს.

რეზინის ჩექმები ელვარებას დიდხანს შეინარჩუნებს, თუ თბილი წყლით გარეცხავთ და რამდენიმე წვეთ გლიცერინსა ან მცენარეულ ზეთში ჩაწობილი მშრალი ნაჭრით გააპრიალებთ. ხელოვნური ლაქის ჩექმები კი ვაზელინით გაპრიალდება.

შარვალს ნაკეცი რომ დიდხანს შერჩეს, უკანა მხრიდან მშრალი საპონი წაუსვით.

ღია ფერის ფეტრის შლაპა თეთრი პურის ქერქით უნდა გაწმინდოთ.

თუ ტყავის ხელთათმანები გიჭერთ, ჯერ 2-3 საათით სველ ტილოში გაახვიეთ, შემდეგ კი ხელზე ჩამოიცვით და ისე გააშრეთ.

ძველი კარტოფილი ხარშვისას არ გამუქდება, თუ წყალში ცოტა ძმარს ან რძეს ჩაუმატებთ.

თუ დაჭრილ ხახვს შეწვამდე ფქვილში ამოავლებთ, ლამაზად, ოქროსფრად დაიბრაწება.

პური დიდხანს არ დაძველდება, თუ ძის შესანახავად ჭურჭელში ვაშლს, გაფცქვნილ უმ კარტოფილს, ან ცოტა მარილს ჩადებთ.

არაჟანს თუ ცოტა რძეს დაუმატებთ, სადილში აღარ აიჭრება.

ცილა კარგად აითქვიფება, თუ რამდენიმე წვეთ ცივ წყალს ან ერთ მწიკვ მარილს ჩაუმატებთ.

ტყავის ჩანთა, პალტო, ჩემოდანი კარგად იწმინდება წყლის, საპნისა და ნიშადურის სპირტის ნარევით. გასაპრიალებლად კი აბუსალათინის ზეთი უნდა იხმაროთ.

ბაბთის საყელოები, რეცხვაში რომ არ დაზიანდეს, შემდეგნაირად უნდა გარეცხოთ: ლიტრიან ქილაში საპნიანი წყალი ჩაასხით, შიგვე მოათავსეთ გასარეცხი ბაფთა, თავი კარგად დაახურეთ და რამდენიმე წუთს ქილა კარგად ანჯღრიეთ, შემდეგ ცივ წყალში გაავლეთ და გაუწურავად გაფინეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ქალი



## ძვირფასო მკითხველებო!

## გამოიწერეთ 1977 წლისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

## „საქართველოს ქალი“

### ჟურნალის ფასი:

1 წლით — 3-60 კაპ.
6 თვით — 1-80 კაპ.
3 თვით — 90 კაპ.
1 თვით — 30 კაპ.

გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ზ უ რ ა ბ  წ ე რ ე თ ლ ი ს ნამუშევრები ადლერში; მეოთხე გვერდზე — როკის გადასასვლელთან, ფერადი სლაიდი ნ. ანთიძისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაზქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 26/IX-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X-76 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 121 500. შეკვ. 2931 უე 00883 ფასი 30 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. წულუკიძის პროფესიულ-ტექნიკური განათლების № 9 საშუალო სასწავლებელი სასწავლო კაბინეტში.

ფოტო დ. იაკობაშვილის.



ИНДЕКС 76178